

ს | ი | ფ | ე



საპროექტო ორიენტული ფინანსის ასოციაცია

სახელმძვანელო ადვოკატებისთვის ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე



სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის

**ფულის გათეთრების პრევენციული
ზომების თაობაზე**

თბილისი 2015

გამოცემულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



სახელმძღვანელო მომზადებულია: კახაბერ წერეთელის (ადვოკატი სისხლის სამართლის მიმართულებით), თამარ ხუბულურის (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მთავარი იურისტი), ანა შალამბერიძის (საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი) მიერ.

გამოცემაზე პასუხისმგებელია: ზვიად კორძაძე (საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის თავმჯდომარე).

პროექტის შესახებ 4

შესავალი 5

I თავი — სამართლებრივი ინსტრუმენტები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში 7

 1.1. საერთაშორისო და ადგილობრივი აქტები 7

 1.2. საერთაშორისო ორგანიზაციები 10

 1.2.1. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტი 10

 1.2.2. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი — Financial Action Task Force 11

II თავი — ადვოკატის ვალდებულებები ფულის გათეთრების გარიგებების გამოსავლენად 14

 2.1. კლიენტის იდენტიფიცირების ვალდებულება 14

 2.2. პოლიტიკურად აქტიური პირების გამოვლენა 23

 2.3. მაღალი რისკის მქონე ქვეყნებიდან, ორგანიზაციებიდან კლიენტების გამოვლენა 25

 2.4. კლიენტის იდენტიფიცირების წესების მესამე პირებზე გადანდობა 27

III თავი — კლიენტის პერსონალური ინფორმაციის დაცვა 29

 3.1. ინფორმაციის შენახვის წესი 29

 3.2. ინფორმაციის უსაფრთხოების ვალდებულება 31

IV თავი — ეთიკური ვალდებულებები და საეჭვო გარიგების შესახებ შეტყობინება — გამონვევა ადვოკატებისათვის 32

 4.1. კონფიდენციალობის პრინციპი 32

 4.2. კონფიდენციალობის პრინციპისა და ფულის გათეთრების/ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებათა ურთიერთმიმართება — საერთაშორისო მიდგომა 36

V თავი — კლიენტის ფონდები 43

VI თავი — ზედამხედველობის და მონიტორინგის ფუნქცია 46

შენიშვნა:

სახელმძღვანელო მომზადდა და გამოიცა მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ უნდა განიმარტოს როგორც იურიდიული კონსულტაცია. წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული სამართლებრივი აქტები და წესები ხშირად იცვლება. შესაბამისად, სახელმძღვანელოში მოცემული ზოგადი განმარტებები მკითხველს დაეხმარება მიიღოს ინფორმაცია საკანონმდებლო რეგულირებების და საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, სახელმწიფოს ერთ-ერთი ვალდებულებაა, ითანამშრომლოს ევროკავშირთან ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საკითხებზე. ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს სახელმწიფოს, მიიღოს სათანადო ზომები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების გამოსავლენად. აღსანიშნავია, რომ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადვოკატებზეც ვრცელდება. თუმცა, ადვოკატებს ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ ინფორმაცია ფულის გათეთრების კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების თაობაზე. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია აქტიურად მუშაობს ადვოკატებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და ეროვნულ კანონმდებლობაში დადგენილი ვალდებულებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების კუთხით. 2014 წლის 1 დეკემბრიდან ასოციაცია ახორციელებს პროექტს „სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში.“ პროექტი დაფინანსებულია ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“-ს მიერ. აღნიშნული პროექტი ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს გამართონ აქტიური დიალოგი შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ფულის გათეთრების თაობაზე კანონმდებლობაში არსებული ვალდებულებების, მათი შესრულების და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსავლენად.

აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრები გაიმართა ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან, ნოტარიუსთა პალატასთან, ეროვნულ ბანკთან და ადვოკატებთან. ამავე პროექტის ფარგლებში, შემუშავდა კვლევა და შეიქმნა წინამდებარე სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდნენ იურიდიული ფირმების ასოციაციის წევრი ადვოკატები. კვლევის და კომენტარების თაობაზე მიმდინარეობდა კონსულტაციები ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან, რომელიც აქტიურად იყო ჩართული და პროექტის განხორციელების პროცესში რეკომენდაციებს აძლევდა იურიდიული ფირმების ასოციაციას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, გაანალიზდეს ფულის გათეთრების თაობაზე არსებული საკანონმდებლო რეგულირებების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, როგორცაა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემფასებელი ექსპერტების კომიტეტის (MONEYVAL) და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები და ადვოკატებს მიენოდოს ინფორმაცია ფულის გათეთრების სფეროში კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

ფულის გათეთრება ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რომელიც არაკანონიერ ფულს კანონიერი ბრუნვის საშუალებას აძლევს. აღნიშნული მოქმედების მიზანია, უკანონოდ მოპოვებული თანხის კანონიერ ბრუნვაში მოქცევა მოხდეს შეუმჩნეველად, იმგვარად, რომ მისი არაკანონიერი ბუნება შეუმჩნეველი დარჩეს. შესაბამისად, პირი, რომელიც მონაწილეობს ფულის გათეთრებაში ან თავად ათეთრებს არაკანონიერ ფულს, ამ დროს უკანონოდ მოპოვებულ ფულს ეკონომიკურ ბრუნვაში უშვებს და მისგან სარგებელს იღებს, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. გარდა იმისა, რომ არაკანონიერი ქმედების ჩამდენი პირის მოპოვებული ფული, შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს და მოხმარდეს სხვა არაკანონიერ ქმედებებს. ამ დროს მოპოვებული ფულით იგი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ბიზნესის კეთილსინდისიერ წარმომადგენლებს, რომელთაც თანხა კანონიერი საშუალებებით მოიპოვეს და ეკონომიკური ბრუნვის მონაწილეები გახდნენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დროულად გამოვლინდეს ასეთი დანაშაული და არაკანონიერი ქმედების თავიდან არიდების პროცესში, კერძო სექტორის ის წარმომადგენლებიც ჩაერთონ, რომელთაც ფინანსურ გარიგებებთან ყოველდღიური შეხება აქვთ.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულის გათეთრების თაობაზე დადგენილი ვალდებულებები მხოლოდ საბანკო და საფინანსო სისტემას მოიცავდა. მოგვიანებით, 1986 წელს, კონგრესმა მიიღო ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობა და 10 000 \$-ზე ზევით გარიგებებისთვის, ადვოკატებს უნდა ეწარმოებინათ მონიტორინგი, რათა ფულის გათეთრების რისკი თავიდან ყოფილიყო აცილებული.¹

ძირითადად, არსებობს 3 მიზეზი თუ რატომ მიმართავენ დამნაშავეები ადვოკატებს და ამით ცდილობენ თავი დაიცვან დანაშაულში მხილებისაგან, რომ აირიდონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა: 1.დამნაშავეები მიმართავენ ადვოკატებს კონსულტაციისთვის, რათა მათი ქმედება იყოს მაქსიმალურად კანონიერი. 2.ადვოკატები, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, სპეციალური ცოდნის პირობებში, მოქალაქეებს სთავაზობენ ისეთ მომსახურებას, როგორიცაა კომპანიის დაარსება, ფინანსური გარიგებების წარმართვა, რაც განაპირობებს რომ შესაძლოა, დამნაშავეებმა ადვოკატის მეშვეობით არაკანონიერი ფული კანონიერიერად აქციონ. 3. ადვოკატები განაგებენ კლიენტის თანხებს, რაც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს, რომ არ მოხდეს ფულის გათეთრება ადვოკატის საშუალებით.²

1. LEGISLATIVE REFORM The Role of Lawyers in the Fight Against Money Laundering: Is a Reporting Requirement Appropriate? Katrina R. Abendano, Journal of Legislation, Volume 27, Issue 2, 2001, 464, 469;
 2. A Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, A collaborative publication of the International Bar Association, the American Bar Association and the Council of Bars and Law Societies of Europe, October 2014, 24

ფულის გათეთრების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში ადვოკატების ჩართვა, საზოგადოებაში მათმა მნიშვნელოვანმა როლმა განაპირობა. ადვოკატები განმარტავენ კანონს და მათ აქვთ კანონის პრაქტიკაში აღსრულების შესაძლებლობა, მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობით. სპეციალური ცოდნის პირობებში, კლიენტი მიმართავს ადვოკატს და ეკითხება პროფესიულ რჩევას, ხოლო ეს უკანასკნელი, ვალდებულია, კლიენტს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, კვალიფიციური განმარტება მიანიჭოს. ზემოხსენებულმა ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ადვოკატებს დაუწესდათ ვალდებულებები და მათი ჩართულობა და პრევენციული ზომების მიღება დანაშაულის თავის აცილებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.³

3. A Lawyer's Guide to Detecting and Preventing Money Laundering, A collaborative publication of the International Bar Association, the American Bar Association and the Council of Bars and Law Societies of Europe, October 2014, 7

1.1. საერთაშორისო და ადგილობრივი აქტები

პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ ფულის გათეთრების დანაშაულზე გავრცელდა, არის 1990 წლის კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად, მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“.⁴ (შემდგომში სტრასბურგის კონვენცია). სტრასბურგის კონვენციის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ქმედებების ჩამონათვალს, რომელიც აღიარებულია ფულის გათეთრების სფეროში დანაშაულად. სტრასბურგის კონვენციის მიხედვით, თუ პირი ინახავს ან გადასცემს ქონებას და მისთვის ცნობილია ქონების უკანონო წარმომავლობის თაობაზე, ასევე ფარავს ან ეხმარება სხვა პირს, რომ დაფაროს ფულის გათეთრების დანაშაული და თავიდან აიცილოს იურიდიული შედეგი - წარმოადგენს ფულის გათეთრებას.

კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ შიდა კანონმდებლობაში მიიღონ ზომები ასეთი დანაშაულის გამოსავლენად, შეიმუშავონ რეგულაცია, რათა კონვენციით გათვალისწინებული ქმედება დასჯადი გახდეს.⁵ უფრო მეტიც, კონვენციის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის არამართო უკანონო ქმედებაში მონაწილე მხარე, არამედ, ის პირი, ვინც იცოდა ფულის გათეთრების გარიგების შესახებ და დამალა ან შენიღბა წყარო, ბუნება, მდებარეობა, ქმედება ან საკუთრება, რომელიც უკანონოდ იყო მოპოვებული. ასეთი პირი წარმოადგენს დანაშაულის თანამონაწილეს და დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁶ ამასთან, კონვენციით დაუშვებელია ასეთი ქონების შექენა, გამოყენება, აგრეთვე ამ საკუთრების ფლობა, როდესაც პირმა იცოდა რომ ქონება უკანონო იყო. მონაწილეობა, გაერთიანება, ნაქეზება, დახმარება, კონსულტაციის გაცემა ფულის გათეთრების დანაშაულის ჩასაღწევადად, დასჯადი ქმედებაა. დოკუმენტის თანახმად, საკუთრება განიმარტება და მოიცავს, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური ფორმით არსებულ, მოძრავ ან უძრავ ქონებას და იურიდიულ დოკუმენტებს.⁷

4. ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ კონვენცია, 1990 წელი
 5. იქვე მუხლი 2
 6. იქვე მუხლი 6
 7. სტრასბურგის კონვენცია 1990, მუხლი 6

მეორე მნიშვნელოვანი კონვენცია ევროსაბჭოს მასშტაბით, რომელიც ფულის გათეთრების გარიგებების გამოვლენის საკითხებს ეხება, არის ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ.“⁸(შემდგომში ევროსაბჭოს კონვენცია). ევროსაბჭოს კონვენციაში ფულის გათეთრების ცნება ზუსტად იმგვარად არის მოცემული, როგორც სტრასბურგის კონვენციაში. ევროსაბჭოს კონვენცია სტრასბურგის კონვენციის განმარტებებს სრულად იზიარებს, როგორც მის წინამორბედ დოკუმენტს.⁹ თუმცა, თუ მანამდე სტრასბურგის კონვენცია ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან აცილებისთვის მხოლოდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობას აწესრიგებდა, 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენცია უფრო კონკრეტულია და მოიცავს ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებებს, კერძოდ, პრევენციული ზომების ჩამონათვალს ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.¹⁰ ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2013 წლის 4 ოქტომბერს და საქართველოსთვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ მიიღეს 2003 წლის 6 ივნისს, თუმცა, ამ დროს კანონის მოქმედების სფერო ადვოკატებზე არ ვრცელდებოდა. 2013 წლის 27 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ადვოკატებსაც დაუდგინდათ ვალდებულებები მიიღონ პრევენციული ზომები ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.¹¹ კანონის მიხედვით, „უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა“ წარმოადგენს დასჯად ქმედებას და ფულის გათეთრების სფეროში ექცევა. ფულის გათეთრების დანაშაულის შესახებ მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული მუხლი ეხებათ როგორც ადვოკატებს, ისე სხვა პროფესიის წარმომადგენლებს, თუ ისინი მონაწილეობენ ფულის გათეთრებაში ან ეხმარებიან იმ პირს ვინც ფულს ათეთრებს. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კოდექსის 194¹ მუხლით, არამარტო დანაშაულის ჩამდენი პირი, არამედ ის პირი, რომელმაც იცოდა და გაანალიზებული ჰქონდა, რომ იძენდა არაკანონიერ ქონებას, ასევე სჩადის დანაშაულს. საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინა ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნა, რომ ფულის გათეთრება დასჯადი უნდა იყოს იურიდიული პირის შემთხვევაშიც.¹²

8. ევროპის საბჭოს კონვენცია “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ” ვარშავა 16 მაისი 2005

9. Council of Europe Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime and on the Financing of Terrorism, Explanatory Report, ინფორმაცია იხილეთ: <http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/198.htm>

10. მუხლი 7-9

11. ინფორმაცია იხილეთ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2106016>

12. Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, Report on Forth Assessment Visit, Georgia, 3 July 2012, MONEYVAL(2012)18, 63-69

შესაბამისად, ფულის გათეთრების გარიგებაში მონაწილეობა ან დახმარება პირისთვის, რომელიც სჩადის დანაშაულს ან აპირებს რომ ჩაიდინოს დანაშაული, როგორც ადვოკატისთვის, ისე მოქალაქისთვის წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსით. თუმცა, ადვოკატებს, მოქალაქეებისგან განსხვავებით, აქვთ კანონით დადგენილი ვალდებულებები, კერძოდ, მათ ფულის გათეთრების გარიგების თაობაზე თავად უნდა მიიღონ ზომები, მოახდინონ კლიენტის იდენტიფიცირება, არ ჩაერთონ ამგვარ გარიგებებში, როცა კლიენტი მათ მიმართავს პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. ამასთან, კლიენტის წარმომადგენლობის დროს განდობილ ინფორმაციაზე მოქმედებს პროფესიული საიდუმლოების პრივილეგია, რაც კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას გულისხმობს. კვლევის მეოთხე თავში ამ ვალდებულებებზე დანვრილებით გვექნება საუბარი.

ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია საქართველოს ავალდებულებს ტერორიზმის და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის გამოვლენის თაობაზე მიიღოს ზომები, ისევე როგორც ფულის გათეთრების გამოვლენასა და პრევენციაში. კონვენციის პირველი მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით, ტერორიზმის დაფინანსების ცნება ისევე არის განმარტებული, როგორც ეს გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონვენციაშია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“.¹³ „ნებისმიერი პირის მიერ დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ ეს პირი რაიმე გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უკანონოდ და საკუთარი ნებით, უზრუნველყოფს ან აგროვებს“¹⁴ „მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივებს, მოძრავ, უძრავ ქონებას“¹⁵ იმ განზრახვით, რომ მათ გამოიყენებენ, ან იცის, რომ მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენებენ, რათა განახორციელონ: „ა) ქმედება, რომელიც წარმოადგენს კონვენციის დანართში ჩამოთვლილი რომელიმე შეთანხმებით გათვალისწინებულ დანაშაულს;

ბ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც გამოიწვევს მშვიდობიანი მოქალაქის ან სხვა ნებისმიერი პირის დაღუპვას ან სხეულის სერიოზულ დაზიანებას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საომარ მოქმედებებში, თუკი ამგვარი აქტი თავისი ხასიათით, ან კონტექსტით, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინების ან მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, რომ მათ ჩაადენინოს ან არ ჩაადენინოს რაიმე ქმედება.“

სისხლის სამართლის კოდექსის 331¹ მუხლი ცალკე გამოყოფს ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულს. თუმცა, კოდექსში მოცემული ტერორიზმის დაფინანსების და ტერორიზმის დანაშაულის ცნება სრულყოფილად არ არის განმარტებული, რის თაობაზეც ასევე აღნიშნულია MONEYVAL-ის 2012 წლის ანგარიშში. ადვოკატების რეკომენდაციით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები ტერორიზმის დაფინანსების და ფულის გათეთრების დანაშაულის თაობაზე ძალიან ზოგადია და უნდა დაკონკრეტდეს. ზუსტად უნდა განისაზღვროს ტერორიზმის დაფინანსების ცნება და კონვენციის დანართში ჩამოთვლილი აქტებით გათვალისწინებული ქმედებებიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ისევე დასჯადი უნდა გახდეს, როგორც ტერორიზმის დაფინანსების დანაშაული.

13. საერთაშორისო კონვენცია “ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ” მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1999 წლის 9 დეკემბერის რეზოლუციაში

14. ევროპის საბჭოს კონვენცია “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ” ვარშავა 16 მაისი 2005 მუხლი 2.1.

15. იმავე კონვენციის მუხლი 1.1.

1.2. საერთაშორისო ორგანიზაციები

1.2.1. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტი

ევროსაბჭო იყო პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც 1958 წელს დაარსა ევროპული კომიტეტი დანაშაულის თავიდან აცილების თაობაზე(CDPC), 1997 წელს კომიტეტმა ჩამოაყალიბა ექსპერტთა სპეციალური კომიტეტი, რომელიც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის უკანონო გადარიცხვების შესწავლით იყო დაკავებული. მოგვიანებით, 1990 წელს ევროსაბჭომ მიიღო პირველი კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“ (შემდგომში სტასბურგის კონვენცია).¹⁶ კონვენცია პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტი გახლდათ, რომელიც ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომ მოხდეს უკანონო ქონების ჩამორთმევა და გამოიძიონ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების შემთხვევები.¹⁷ ამასთან, კონვენციის ხელმომწერმა მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან ფულის გათეთრების გამოძიებასა და სამართალწარმოების პროცესში ერთმანეთის დასახმარებლად.¹⁸

მოგვიანებით, 1997 წელს დაარსდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემფასებელი ექსპერტთა კომიტეტი, (შემდგომში MONEYVAL), რომლის ფუნქციები განისაზღვრა ევროსაბჭოს რეზოლუციით (2005)47.¹⁹ თუმცა, რეზოლუცია სპეციფიურად მხოლოდ MONEYVAL მოქმედების წესებს არ ეხებოდა, არამედ განსაზღვრავდა ევროსაბჭოს ყველა კომიტეტის ფუნქციონირების წესს, მექანიზმებს და მათ უფლებამოსილებებს. MONEYVAL გახლდათ პირველი რეგიონალური სტრუქტურა, რომელიც მუშაობდა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საკითხებზე.²⁰ MONEYVAL ეყრდნობოდა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, იგი ხელმძღვანელობდა 1980 წლის სტასბურგის კონვენციით და ხელს უწყობდა კონვენციის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში მათ იმპლემენტაციას.

2005 წელს ევროსაბჭომ მიიღო ახალი კონვენცია, „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფ-

16. Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism (MONEYVAL), Background, ინფორმაცია იხილეთ: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/About/Background_MONEYVAL_en.asp

17. კონვენციის მუხლი 2, მუხლი 3

18. კონვენციის მუხლი 7

19. Resolution Res(2005)47 on committees and subordinate bodies, their terms of reference and working methods; (Adopted by the Committee of Ministers on 14 December 2005 at the 951st meeting of the Ministers' Deputies) Council of Europe, article 1

20. Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism (MONEYVAL), Background, ინფორმაცია იხილეთ: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/About/Background_MONEYVAL_en.asp

ინანსების შესახებ“, რომელიც ახალი დოკუმენტი გახდა MONEYVAL მოქმედების სფეროს განსაზღვრისა და ფულის გათეთრების თაობაზე წესების რეგულირებისთვის.

მოგვიანებით, 2010 წლის 13 ოქტომბერს, ევროსაბჭომ მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია, რომელიც 2005 წლის რეზოლუციისგან განსხვავებით, უშუალოდ MONEYVAL-ს ეხებოდა და მის ფუნქციებს და მუშაობის სტრატეგიას განსაზღვრავდა. აღნიშნული რეზოლუციით MONEYVAL-ს დამოუკიდებელი მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრა. კერძოდ, მას უფლება მიენიჭა, დამოუკიდებლად გაუწიოს მონიტორინგი ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სტანდარტებს, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს წევრ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.²¹

MONEYVAL-ი ფულის გათეთრების სფეროში ეყრდნობა „ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის“ (“Financial Action Task Force”, შემდგომში FATF) რეკომენდაციებს.²² კერძოდ, MONEYVAL-ის უფლებამოსილებებში შედის გამოიკვლიოს მდგომარეობა ქვეყნებში, ა) რომლებიც არ არიან FATF-ის წევრები, თუმცა წარმოადგენენ ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს ბ) ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები, რომლებიც ამავე დროს არიან FATF-ის წევრები, თუმცა მოითხოვენ რომ MONEYVAL-მა მაინც გამოიკვლიოს მათი მდგომარეობა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში გ) ქვეყნები რომლებიც ორივე ორგანიზაციის წევრები არიან, თუმცა მოითხოვენ, რომ კვლევა ჩატარდეს ევროპული სტანდარტების შესაბამისობასთან მიმართებით.²³

MONEYVAL-ის წევრი 30 ქვეყნიდან, ერთ-ერთი საქართველოა, მაგრამ იგი FATF-ის წევრი არ არის. 2006 წლიდან MONEYVAL არის FATF-ის დამკვირვებელი წევრი და აქტიურად მონაწილეობს გამართულ შეხვედრებსა და პოლიტიკის შემუშავებაში.²⁴ MONEYVAL-ის ბოლო, მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიში საქართველოს შესახებ გამოქვეყნდა 2012 წელს,²⁵ ხოლო მომდევნო, მეხუთე რაუნდის შეფასების პერიოდად 2017-2018 წლები განისაზღვრა.²⁶

1.2.2. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი — Financial Action Task Force

„ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი“ (შემდგომში FATF) 1989 წელს დააარსდა და წარმოადგენს საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელიც ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში საერთო პოლიტიკას განსაზღვრავს და შე-

21. Resolution CM/Res(2010)12 on the Statute of the Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism (MONEYVAL) (Adopted by the Committee of Ministers on 13 October 2010 at the 1095th meeting of the Ministers’ Deputies), article 1

22. ევროპის საბჭოს კონვენცია 16 მაისი 2005, მუხლი 48

23. Resolution CM/Res(2010)12 on the Statute of the Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism (MONEYVAL), Article 2

24. MONEYVAL in brief, ინფორმაცია იხილეთ: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/About/MONEYVAL_in_brief_en.asp

ინფორმაცია იხილეთ: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=973419&Site=COE>

ინფორმაცია იხილეთ: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=963497&Site=CM>

25. MONEYVAL Fourth Assessment Report, Georgia (2012)18

26. Evaluations, MONEYVAL’s evaluation rounds, ინფორმაცია იხილეთ:

http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/Evaluations/About_evaluation_en.asp

საბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს. თავდაპირველად, ორგანიზაციის მანდატი მხოლოდ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას ეხებოდა, ხოლო მოგვიანებით, 2001 წელს, ტერორიზმის დაფინანსების სფეროც მოიცვა.²⁷

ორგანიზაცია 36 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს.²⁸ დამატებით, ორგანიზაციაში გაწევრიანებულია დამკვირვებელი და ასოცირებული წევრის სტატუსის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტები, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ინტერპოლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციები.²⁹ ასოცირებულ წევრის სტატუსის მქონე ინსტიტუტებს შორისაა MONEYVAL, რომელსაც სრული წვდომა აქვს FATF-ის დოკუმენტაციაზე და მონაწილეობს მის შემუშავებაში, მას ასევე აქვს კონფიდენციალურ დოკუმენტებზე წვდომის საშუალება, შესაძლებლობა ჩაერთოს ორგანიზაციის შეხვედრებში, რაც სრულ თავისუფლებას აძლევს მონაწილეობდეს საერთო პოლიტიკის და სტანდარტების შემუშავებაში ფულის გათეთრების სფეროში.³⁰

აქედან გამომდინარე, MONEYVAL მონაწილეობს FATF-ის მთავარი მიზნის შესრულებაში - დაანსოს სტანდარტები და გაატაროს ეფექტური სამართლებრივი და მმართველობითი ზომები ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და სხვა მასთან დაკავშირებული დანაშაულების თაობაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საფინანსო სისტემას.³¹

FATF წარმოადგენს პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანიზაციას და შეიმუშავებს პოლიტიკას, რომ ქვეყნებმა ადგილობრივ კანონმდებლობაში გაატარონ სათანადო ზომები ფულის გათეთრების წინააღმდეგ.³² FATF-ს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლისთვის 5 მთავარი მიმართულებით, კერძოდ ორგანიზაცია:

- შეიმუშავებს საერთო სტანდარტებს, ტერორიზმის დაფინანსების და ფულის გათეთრების, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის გამოსაძიებლად;
- აკვირდება ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიმდინარეობის პროცესს და უზრუნველყოფს შესაბამისი სამემფასებლო ანგარიშების განხილვასა და დამტკიცებას;
- იკვლევს, რომ გამოავლინოს მაღალი რისკის მქონე გარემოებები. შეისწავლის დანაშაულთან ბრძოლის სისუსტეებს, რათა დროულად მოხდეს დანაშაულის გამოვლენა ან პრევენციული ზომების მიღება/გატარება;
- იკვლევს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებს, რომ გამოავლინოს სუსტი გარემოებები და მისი საჭიროებები;

27. FATF Annual Report 2013-2014, ინფორმაცია იხილეთ:

<http://www.fatf-gafi.org/pages/aboutus/whatwedo/>

28. ინფორმაცია იხილეთ: <http://www.fatf-gafi.org/pages/aboutus/membersandobservers/>

29. African Development Bank, Asian Development Bank, European Bank for Reconstruction and Development etc.

ინფორმაცია იხილეთ: <http://www.fatf-gafi.org/pages/aboutus/membersandobservers/>

30. Ministers' Deputies Notes on the Agenda CM/Notes/957/10.3, 3 February 2006, 957 Meeting, 1 March 2006, მე-4 პუნქტი,

ინფორმაცია იხილეთ: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=963497&Site=CM>

31. FINANCIAL ACTION TASK FORCE MANDATE (2012-2020), page 4, ინფორმაცია იხილეთ: <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/FINAL%20FATF%20MANDATE%202012-2020.pdf>

32. ინფორმაცია იხილეთ: <http://www.fatf-gafi.org/pages/aboutus/>

- ახდენს იმ იურისდიქციის იდენტიფიცირებას, სადაც დანაშაულების განსაკუთრებით მაღალი საფრთხე არსებობს.³³

წვერი სახელმწიფოების საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისა და საერთო წესების შემუშავებისთვის, ორგანიზაცია გამოსცემს რეკომენდაციებს. პირველად, ორგანიზაციამ 1990 წელს მიიღო 40 რეკომენდაცია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში. შემოსენებულმა რეკომენდაციებმა ცვლილებები განიცადეს 1996, 2001 წლებში და 2012 წელს საბოლოო სახე მიიღეს. 40 რეკომენდაციასთან ერთად, ორგანიზაციას 2001 წლის ოქტომბერში 8 დამატებითი რეკომენდაცია აქვს მიღებული.³⁴ აღნიშნული 8 სპეციალური რეკომენდაცია ტერორიზმის დაფინანსების სფეროში ეყრდნობა გაეროს 1999 წლის „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენციას“ და ტერორიზმის თავიდან აცილების და აკრძალვის თაობაზე გაეროს 1373-ე რეზოლუციას.³⁵ მოგვიანებით, 2004 წელს ორგანიზაციამ ცვლილებები შეიტანა და საბოლოოდ მიიღო 9 დამატებითი რეკომენდაცია, ნაცვლად 8 რეკომენდაციისა. 2012 წლიდან 9 სპეციალური რეკომენდაცია აისახა 40 რეკომენდაციაში და ამჟამად მოქმედებს 40 რეკომენდაცია.³⁶

ორგანიზაციას ჰყავს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სამდივნო და წელიწადში ერთხელ აწყობს პლენარულ სხდომებს. სხდომებზე გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსით ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში სტანდარტების, სახელმძღვანელო პრინციპების და განვითარების პოლიტიკის თაობაზე.³⁷

33. 20 Years of the FATF Recommendations , 1990-2010, 6, 7, 8 ,

34. იქვე

35. FATF IX Special Recommendations, October, 2001, 3, 4,

36. History of the FATF, ინფორმაცია იხილეთ: <http://www.fatf-gafi.org/pages/aboutus/historyofthefatf/>

37. FINANCIAL ACTION TASK FORCE MANDATE (2012-2020) 5,6

2.1. კლიენტის იდენტიფიცირების ვალდებულება

კლიენტის იდენტიფიცირების თაობაზე ადვოკატებისთვის დადგენილი ვალდებულებები იურიდიული პროფესიისთვის ახალ რეგულირებას არ წარმოადგენს და უკვე განსაზღვრულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, ადვოკატებმა უნდა აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დაადგინოს ვინ არის მისი კლიენტი და მისი იდენტიფიცირებით უნდა გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა. ასევე, ადვოკატი კლიენტის ვინაობის დადგენისთვის აგროვებს ინფორმაციას მის შესახებ, რაც ადვოკატს კლიენტის საქმის საფუძვლიანი შესწავლის და კვალიფიციური მომსახურების განევისთვის ესაჭიროება.³⁸

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, ადვოკატები ვალდებული არიან, პირველ რიგში, მოახდინონ კლიენტის იდენტიფიცირება და მიიღონ შესაბამისი ზომები მისი ვინაობის დასადგენად. კლიენტის იდენტიფიცირების ვალდებულება დადგენილია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კონვენციის“³⁹ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმადაც, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა დაადგინონ ან დაადასტურონ კლიენტის იდენტობა. მართალია, ადვოკატები პირდაპირ მოხსენებულნი არ არიან კონვენციის ტექსტში, თუმცა კონვენციის ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ფულის გათეთრების მონიტორინგისა და პრევენციისთვის. აღნიშნული კი ადგილობრივ კანონმდებლობაში ისეთი საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას და ხელშეწყობას გულისხმობს, როგორცაა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების გათვალისწინება. FATF-ის რეკომენდაციებით დადგენილია ვალდებულებები იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისთვის, რომლის ქვეშ დამოუკიდებელი პროფესიის მქონე პირები, ადვოკატები და ნოტარიუსები არიან გაერთიანებული. რეკომენდაციის მიხედვით, აღნიშნულ პირებს, შესაძლოა, შეხება ჰქონდეთ ისეთ

38. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი 4, ადვოკატთა შესახებ კანონი მე-7 მუხლი

39. ევროპის საბჭოს კონვენცია 16 მაისი, 2005

კლიენტებთან, რომლებსაც სურთ უკანონო ფულის კანონიერ ბრუნვაში მიმოქცევა ან ტერორიზმის დაფინანსება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მათ განახორციელონ მონიტორინგი და კლიენტის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ზომები მიიღონ.⁴⁰

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის მე-5 მუხლის 2³ პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ახორციელებს კლიენტის მონიტორინგს, რაც მოიცავს კლიენტის ვინაობის დადგენას, გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვას და სისტემატიზაციას. კანონის აღნიშნული მუხლით და FATF-ის 22-ე რეკომენდაციით ადვოკატმა მხოლოდ შემდეგ გარიგებებზე უნდა განახორციელოს კლიენტის მონიტორინგი:

- უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;
- ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების მართვა;
- საბანკო, შემნახველი ან ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მართვა;
- იურიდიული პირის შექმნისთვის, საქმიანობისთვის ან მართვისთვის შენატანების ორგანიზება;
- იურიდიული პირის ან ამხანაგობის შექმნა, საქმიანობა ან მართვა;
- იურიდიული პირის (წილის) ყიდვა-გაყიდვა.

შესაბამისად, თუ ზემოთჩამოთვლილი გარიგებების მონიტორინგის დროს ადვოკატს ეჭვი ეპარება კლიენტის ვინაობის უტყუარობაში, ან კლიენტის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, ან თუ გარიგება ადვოკატმა მიიჩნია საეჭვოდ,⁴¹ იგი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს ადვოკატთა ასოციაციას.⁴² თუმცა, პროფესიული პრივილეგიის ფარგლებში ადვოკატმა უნდა დაცვას კლიენტის პირადი ინფორმაცია და მხოლოდ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით მიაწოდოს ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციას.⁴³ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით განმარტებები მე-4 თავში არის მოცემული.

გასათვალისწინებელია, რომ კლიენტის იდენტიფიცირებისას, პროფესიული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადვოკატებს FATF-ის ყველა რეკომენდაცია არ ეხებათ და ამ შემთხვევაში სპეციალურად ადვოკატებისთვის განკუთვნილი რეგულაციები მოქმედებს. ადვოკატებზე FATF-ის 22-ე რეკომენდაცია ვრცელდება, რომლის მიხედვით, კლიენტის ვინაობის დასადგენად ადვოკატებმა უნდა მიმართონ მე-10, მე-11, მე-12, მე-15 და მე-17 რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზომებს. აღნიშნული რეკომენდაციები, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს: კლიენტის იდენტიფიცირება, პოლიტიკურად აქტიური პირების იდენტიფიცირება, კლიენტის პერსონალური ინფორმაციის შენახვა, ინფორმაციის უსაფრთხოების და იდენტიფიცირების წესების მესამე პირებისთვის გადადობა. კვლევის მომდევნო თავებში დეტალურად მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს, ხოლო წინამდებარე თავში კი ყურადღებას გავამახვილებთ კლიენტის იდენტიფიცირების წესებზე.

40. International Standards on Combating Money Laundering and the Financing of Terrorism & Proliferation, The FATF Recommendations, February 2012 (შემდეგში FATF Recommendations 2012)

41. გარიგების საეჭვოობის დეფინიცია მოცემულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტში

42. იქვე, მე-9 მუხლის 1 პრიმა

43. იქვე, მე-5 მუხლის მე-5 პრიმა

ა) ფიზიკური და იურიდიული პირის იდენტიფიცირების წესები:

საქართველოს კანონის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-4¹ პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია დაადგინოს კლიენტის ვინაობა და ამ მიზნით გადაამოწმოს ინფორმაცია სანდო წყაროსთან. მართალია, კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით, ადვოკატი თავად განსაზღვრავს პროცედურებს, კლიენტის იდენტიფიცირების თაობაზე, თუმცა კანონში მოცემულია მინიმალური მოთხოვნები კლიენტის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ადვოკატმა ფიზიკური პირის პირადი მონაცემები უნდა შეამოწმოს მინიმუმ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის საფუძველზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში — სახელმწიფოს მიერ გამოცემული ისეთი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც იძლევა იურიდიული პირის შექმნისა და მისი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) შესაბამისი უფლებამოსილების დადასტურების საშუალებას.⁴⁴ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №2 ბრძანების⁴⁵ მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულია მონაცემების ჩამონათვალი, რომელიც უნდა შეამოწმოს ადვოკატმა კლიენტის ვინაობის დასადგენად ფიზიკური და იურიდიული პირის შემთხვევაში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №2 ბრძანებაში (შემდგომში ადვოკატის დებულება) მოცემულია ინფორმაციის ჩამონათვალი,⁴⁶ რომლის საფუძველზე ადვოკატმა იურიდიული პირის იდენტიფიცირებისას უნდა დაადგინოს/ გადაამოწმოს :

- ა) სრული სახელწოდება, საქმიანობის საგანი, იურიდიული მისამართი
- ბ) მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი
- გ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი
- დ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები
- ე) ფინანსური სამსახურის მონიტორინგის უფროსის ბრძანების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, თუ ადვოკატთან წარმოდგენილი ინფორმაცია იძლევა საშუალებას, ადვოკატმა უნდა დაადგინოს, “ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობაზე დანიშნვის თარიღი, ან/და საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) რეკვიზიტები”

FATF-ის მე-10 რეკომენდაციის მიხედვით, იურიდიული პირის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს:

- ა) სახელწოდება, იურიდიული ფორმა, დაფუძნების დოკუმენტაციის არსებობა, პარტნიორთა შეთანხმება და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც კლიენტის წარმომავლობის დადგენას ეხება

44. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი

45. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №2, 2014 წლის 2 ოქტომბერი

46. იქვე, მე-5 მუხლის 9,10,11,12 პუნქტები

- ბ) დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს წილთა გადანაწილების საკითხებს, იმ ადამიანების დასახელებით ვინც ფლობს წილებს კომპანიებში, უფროს და უმცროს მენეჯერებს, დირექტორებს და სხვა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობას.
- გ) ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი⁴⁷

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებისგან განსხვავებით, FATF-ის რეკომენდაციით, იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია: წილთა გადანაწილების, იურიდიული პირის წილის მფლობელების, უფროსი და უმცროსი მენეჯერების თაობაზე.⁴⁸ აღნიშნული პირების თაობაზე ინფორმაციის მოძიებას არ მოიცავს საქართველოს კანონი. კანონის მე-6 მუხლის მე-10¹ პუნქტი და ადვოკატის დებულების მე-5 მუხლის მე-6¹ მუხლი მფლობელობის და მმართველობის (კონტროლის) განმარტებული სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის დადგენას ითვალისწინებს, რაც FATF-ის სტანდარტებთან შესაბამისობისთვის საკმარისი არ არის.

ბ) ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიცირება

იურიდიული პირის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია, მოახდინოს ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია, ასევე მიიღოს გონივრული ზომები მისი ვინაობის გადასამოწმებლად სანდო, დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით და დარწმუნდეს, ვინ არის კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე.⁴⁹ ადვოკატის დებულების მიხედვით, ბენეფიციარი მესაკუთრე არის “ფიზიკური პირი, რომელიც არის პირის საბოლოო მფლობელი ან მაკონტროლებელი პირი ან/და რომლის სახელითაც ხორციელდება გარიგება (ოპერაცია); სამენარმეო იურიდიული პირის (აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ არის იურიდიული პირი) ბენეფიციარი მესაკუთრე არის მისი წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25%-ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით საბოლოო მესაკუთრე, მფლობელი ან/და მაკონტროლებელი ფიზიკური პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც სხვაგვარად ახორციელებს კონტროლს სამენარმეო იურიდიული პირის მართვაზე.”⁵⁰

FATF-ის მე-10 რეკომენდაციით, ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ გამოვლინდეს:

- ა) ფიზიკური, მოსარგებლე პირის იდენტიფიცირება თუ ახორციელებს კონტროლს იურიდიული პირის, მესაკუთრის ან აქვს ასეთი ინტერესი
- ბ) თუ არის ეჭვი და ბენეფიციარი მესაკუთრე წარმოადგენს ისეთ პირს, რომელსაც გააჩნია კონტროლი კომპანიის მმართველობით საქმიანობაზე ან თუ არ არის დანიშნული ფიზიკური პირი, უნდა მოხდეს იმ პირების იდენტიფიცირება, ვინც ახორციელებენ კომპანიის რეალურ კონტროლს

47. FATF Recommendations 2012, 59

48. მე-10 რეკომენდაცია, 59-62

49. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №2, 2014 წლის 2 ოქტომბერი, მე-6 მუხლის მე-10, მე-10¹ პუნქტი

50. იქვე, მე-2 მუხლის „ჟ“ პუნქტი

გ) თუ არ არის ფიზიკური პირი იდენტიფიცირებული ზემოთ დასახელებული პუნქტებით, ადვოკატმა ან ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა დაადგინოს იმ პირის ვინაობა, ვისაც უჭირავს კომპანიის მენეჯერის პოზიცია.⁵¹

FATF-ის მე-10 რეკომენდაციიდან გამომდინარე, ადვოკატმა, გარდა იმისა, რომ უნდა დაადგინოს პირდაპირ მითითებული ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა, უნდა გამოიკვლიოს აქვს თუ არა სხვა პირს კონტროლი კომპანიის მენეჯმენტზე და გადანყვეტილებების მიღების პროცესზე. რეკომენდაცია გულისხმობს, რომ ადვოკატთან წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომპანიის სტრუქტურის მიხედვით უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ადვოკატმა დაადგინოს და გამოიკვლიოს ასეთი პირის ვინაობა.

რეკომენდაცია: ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეკომენდაციით, ადვოკატს ინფორმაცია მმართველობის ორგანოს, პარტნიორების თაობაზე და კომპანიის სტრუქტურის შესახებ ესაჭიროება, რომ დაადგინოს ბენეფიციარი მესაკუთრე. მას შემდეგ რაც ადვოკატი დაადგენს კომპანიის საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეს, იგი აღარ არის ვალდებული გამოიძიოს და დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს მმართველობის სხვა განმახორციელებელი პირების თაობაზე, ფულის გათეთრების პრევენციული ზომები მიღებულად ჩაითვლება.

მიზანშეწონილი იქნება, რომ კომპანიის მფლობელობის და მმართველობის (კონტროლის) განმახორციელებელი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის დადგენას პირდაპირ ითვალისწინებდეს ადვოკატის დებულებაში ჩამოთვლილი კრიტერიუმები იურიდიული პირის თაობაზე ინფორმაციის გადამონმეებისას. ამასთან, ბენეფიციარი მესაკუთრის გამოვლენისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ 25% წილის ან მეტის მფლობელის ვინაობის დადგენა, შესაძლოა, რომ კომპანიის ნაკლები წილის მქონე პირს ჰქონდეს მცდელობა ფულის გათეთრების, მისი იდენტიფიცირების ვალდებულება კი ადვოკატს არ გააჩნია. ფულის გათეთრების რეგულირების აღნიშნული ხარვეზის თაობაზე მოცემულია ფულის გათეთრების თაობაზე ევროკავშირის მესამე დირექტივის ანალიზისას ჩატარებულ კვლევაში.⁵² ამჟამად ევროკავშირი მეოთხე დირექტივის მიღების პროცესშია, რომელიც ჯერ ძალაში არ შესულა და უფრო დახვეწილ დებულებებს ადგენს ფულის გათეთრების სფეროში.

გ) კლიენტის იდენტიფიცირების დაწყების დრო

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თავად ურთიერთობის რა ეტაპზე უნდა მოხდეს კლიენტის იდენტიფიცირება, როდესაც იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა თუ როცა ადვოკატს უჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ფულის გათეთრებას ჰქონდეს ადგილი? საქართველოს კანონის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით, პირის ვინაობის შემოწმება უნდა მოხდეს გარიგების განხორ-

51. FATF Recommendations 2012, 60-61

52. European Commission DG Internal Market and Services - Budget Final Study on the Application of the Anti-Money Laundering Directive Service Contract ETD/2009/IM/F2/90, DELOITTE, 2009, 69-70

ციელებამდე. FATF-ის მე-10 რეკომენდაციით, ასევე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანების მიხედვით,⁵³ ადვოკატი არ არის უფლებამოსილი კლიენტთან დაიწყოს ურთიერთობა ვიდრე არ მოახდენს მის იდენტიფიცირებას. FATF-ის მე-10 რეკომენდაციის განმარტებით ბარათში მოცემულია, რომ მხედველობაში მიიღება პოტენციური კლიენტის შესახებ მიღებული ინფორმაცია, თუ ადვოკატი პოტენციური კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩათვლის, რომ სახეზეა ფულის გათეთრების რისკი, მან პოტენციური კლიენტის იდენტიფიცირებაც უნდა მოახდინოს.⁵⁴

რეკომენდაცია: პოტენციური კლიენტის შემთხვევაში, იგულისხმება კლიენტი, რომელთანაც ადვოკატმა დაიწყო ურთიერთობა, თუმცა გარიგება ბოლომდე არ მოუყვანია, კლიენტმა დატოვა ადვოკატის წარმომადგენლობა ან მსგავსი შემთხვევები, როცა ადვოკატმა კონსულტაცია გაუწია კლიენტს და წარმომადგენლობა არ განხორციელებულა ან მხარეებს შორის ურთიერთობა შეწყდა. (ადვოკატის დებულების მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტი)

პროფესიული ეთიკის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ადვოკატებმა უნდა განიხილონ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ადვოკატის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების (მათ შორის, კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების) შესახებ პოტენციური კლიენტების წინასწარ ინფორმირების მიზანშეწონილობის საკითხი. კერძოდ, კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, შესაძლებელია, ჩაიდოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პრევენციული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები

FATF-ის მე-10 რეკომენდაციის მიხედვით, კლიენტის ვინაობა უნდა გაირკვეს, როდესაც:

- იწყება ბიზნეს ურთიერთობა;
- ადვოკატი ახორციელებს ბიზნეს ურთიერთობას
- არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი; ან
- ადვოკატს აქვს ეჭვი ადრე მიღებული მომხმარებლის იდენტიფიკაციის მონაცემების სიზუსტესთან დაკავშირებით

დამატებით, FATF-ის რეკომენდაციით და ადვოკატის დებულებით,⁵⁵ ადვოკატს მოეთხოვება კლიენტის იდენტიფიცირება „სხვა სახის საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე, ასევე საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებამდე, თუ არსებობს ეჭვი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე ან ტერორიზმის დაფინანსებაზე ან ჩნდება ეჭვი კლიენტის არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტეში ან შესაბამისობაში.“⁵⁶

53. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №2, 2014 წლის 2 ოქტომბერი, მე-5 მუხლი მე-6 პუნქტი

54. FATF Recommendations 2012, 59

55. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი

56. FATF Recommendations 2012, მე-10 რეკომენდაცია

რეკომენდაცია: თუ არ არსებობს მაღალი რისკ-ფაქტორი, ადვოკატს შეუძლია, გამოიყენოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის დამყარების პროცესში მოიპოვოს.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ FATF-ის რეკომენდაციების მიხედვით, ფინანსურ ინსტიტუტებს, შეუძლიათ უკვე განხორციელებული ტრანზაქციების შემდეგ, ახალი გარიგების დადებისას, თავიდან აღარ მოახდინონ კლიენტის იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეჭვი წარმოეშვათ, რომ პირი ჩართულია ფულის გათეთრებაში. აღნიშნული რეკომენდაციის დებულებები ვრცელდება ადვოკატებზეც, ერთი კლიენტის მიერ რამდენიმე გარიგების დადებისას, მას ხელახლა აღარ მოეთხოვება დაადგინოს პირის ვინაობა. FATF-ის რეკომენდაციიდან გამომდინარე, თუ მაგალითად, ადვოკატს გარიგების გასაფორმებლად მიმართავს კომპანია ან ფიზიკური პირი, რომელიც უკვე იდენტიფიცირებულია ფინანსური ინსტიტუტის მიერ, შესაძლოა, რომ ადვოკატმა ამ გარიგებისთვის აღარ მოახდინოს კლიენტის ხელახალი იდენტიფიცირება და დაეყრდნოს ფინანსური ინსტიტუტის უკვე შესრულებულ წესებს კლიენტის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. (FATF Recommendations, 2013, 62)

დ) მაღალი და დაბალი რისკ ფაქტორები

FATF-ის რეკომენდაციები ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას ეფუძნება მაღალი და დაბალი რისკ ფაქტორებს კლიენტის იდენტიფიცირების შემთხვევების განხილვისას. მსგავსად FATF-ის რეკომენდაციისა, ფულის გათეთრების პრევენციული ზომების მიღების თაობაზე ევროკავშირის დირექტივა 2005/60/EC, რომელიც თავის მხრივ, იზიარებს და ეყრდნობა FATF-ის სტანდარტებს, ეფუძნება ასევე მაღალი და დაბალი რისკის გამოვლენის შემთხვევებს.

FATF-ის რეკომენდაციით, მაღალი რისკ ფაქტორების გამოვლენისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ შემთხვევებზე:

- ბიზნეს ურთიერთობები მხარეებს შორის უჩვეულოა, მაგ. გეოგრაფიულად დიდი სხვაობაა ფინანსურ ინსტიტუტსა და კლიენტს შორის
- სახეზეა არარეზიდენტი კლიენტი
- იურიდიულ პირები ან გარიგება დაკავშირებულია ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიასთან
- კომპანიებს, რომელთაც აქვთ ნომინალური წილი ან წილი, რომლის დამადასტურებელი კუპონები გააჩნიათ, თუმცა ასეთი წილი არ არის რეგისტრირებული რეესტრში (bearer share)
- ნაღდი ფულის გადამხდელი ბიზნესი
- ბიზნესის სტრუქტურა ან თავად კომპანია არის ზედმეტად რთული და უჩვეულო⁵⁷

საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადვოკატმა უნდა გამოავლინოს კლიენტის ვინაობა. ამავე მუხლის მე-14 პუნქტით, ადვოკატებს

რისკების მართვის სათანადო სისტემა უნდა გააჩნდეთ, რაც მაღალი რისკის მქონე გარიგებების გამოვლენას შეეხება, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, თუ რა შეიძლება იყოს მაღალი რისკის მქონე გარიგებები.

FATF-ის რეკომენდაციის მიხედვით, ისეთი მომსახურებისას, როგორცაა საბანკო სექტორი, ანონიმური გადარიცხვები ნაღდი ფულის საშუალებით, არაპირდაპირი ბიზნეს ურთიერთობები ან გადარიცხვები, როცა გადახდა ხორციელდება დაუდგენელი პირისაგან ან ასოციაციისგან, საჭიროა, დამატებითი შემოწმება და კლიენტის ვინაობის დადგენა, ისევე როგორც მომსახურების სახის და მიზნის განსაზღვრა.⁵⁸ ასეთ შემთხვევებში, ადვოკატმა ბიზნესს უნდა მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რაც ადვოკატების მიერ სიფრთხილის გამოჩენას გულისხმობს, რომ მათ დანვრილებით შეამოწმონ და გამოიკვლიონ ბიზნესის ვინაობა ჩამოთვლილი რისკის მქონე გარიგებების შემთხვევებში. რაც შეეხება დაბალი რისკის მქონე გარიგებებს, მას მიეკუთვნება მაგალითად 1000-2000 ევროს ფარგლებში გაფორმებული გარიგებები. ასევე, ევროკავშირის მესამე დირექტივა, რომელიც სრულად იზიარებს FATF-ის სტანდარტებს და ეყრდნობა მას, ცალკე გამოყოფს მაღალი და დაბალი რისკის მქონე გარიგებებს და დეტალურად ჩამოთვლის, თუ რა სახის გარიგებები მიიჩნევა რისკის შემცველად.⁵⁹

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, რომ ადვოკატთა ასოციაციის, სხვა პროფესიული ასოციაციების და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ერთობლივი კონსულტაციებით, საქართველოს გეოგრაფიულ-პოლიტიკური ვითარების გაანალიზებით, შემუშავდეს რეკომენდაციები მაღალი რისკ ფაქტორების გამოვლენის მიზნით კლიენტის იდენტიფიცირებისას. აღნიშნული რეკომენდაციები იქნება სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის რისკების გაანალიზების და აღმოჩენის მიზნით.

ვ) პრობლემური საკითხები კლიენტის იდენტიფიცირებისას

საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ ითვალისწინებს დებულებას, რომლის მიხედვით, პირის იდენტიფიცირებისას, ადვოკატები, უფლებამოსილი არიან სარგებლობდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზებით.⁶⁰ FATF-ის რეკომენდაციაც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ეფექტური გამოძიების სანარმოებლად, რათა ადვოკატებს ჰქონდეთ წვდომა ბაზებთან და დაადგინონ კლიენტის ვინაობა.⁶¹ დღესდღეობით, ადვოკატებს კანონით აქვთ ვალდებულება კლიენტის იდენტიფიცირების, უფლებამოსილება აქვთ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზებთან ჰქონდეთ წვდომა. თუმცა, ნოტარიუსებისგან განსხვავებით, მათ არ გააჩნიათ

58. FATF Recommendations 2012, 63,64

59. DIRECTIVE 2005/60/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on the prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering and terrorist financing, article 11-13

60. მე-6 მუხლის 12 პუნქტი

61. FATF Recommendations 2012, 33, 93

წვდომა ელექტრონულ ბაზებთან, პირის იდენტიფიცირების დადგენის მიზნით.⁶² შესაბამისად, ადვოკატები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებას - დაადგინონ ან დაადასტურონ კლიენტის იდენტიფიცირება.

დამატებით, კლიენტის იდენტიფიცირებისას, ადვოკატებისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვების ვალდებულება, მით უფრო, რომ ადვოკატმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კომპანიის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეაგროვოს, რომ დარწმუნდეს ვინ არის კომპანიის მმართველი, მოიპოვოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის არსის, მფლობელობის და მმართველობის განმახორციელებელი სტრუქტურის თაობაზე. ინფორმაციის მოძიების პრობლემას ადვოკატებისთვის ასევე ეხება ფულის გათეთრების ვალდებულებების თაობაზე ევროკავშირის დირექტივის ფარგლებში მომზადებული კვლევა.⁶³ კვლევაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირში, ადვოკატისთვის ინფორმაციის მოპოვების პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის წვდომის საკითხი, საჯაროდ არსებული ინფორმაცია ცოტაა, მითუმეტეს კომპანიის მმართველი სტრუქტურების თაობაზე. საქმეს უფრო ართულებს ოფშორში რეგისტრირებული უცხოური კომპანია, მისი ბენეფიციარი მმართველის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება რთულია და მისი გადამოწმების საშუალება არ არსებობს. ამასთან, კლიენტისგან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია პირის პირადი ცხოვრების უფლებაზე, პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე და დამუშავებაზე, რისი უფლებაც ადვოკატს კლიენტის ნებართვის გარეშე არ აქვს.⁶⁴

რეკომენდაცია: ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეკომენდაციაა, რომ ადვოკატმა ინფორმაცია მოიპოვოს კლიენტისაგან, თუმცა, ასეთ დროს, შესაძლოა, ხშირი იყოს შემთხვევები, როცა კლიენტი ნაწილობრივ წარმოადგენს ინფორმაციას. ადვოკატს შეუძლია უარი განაცხადოს კლიენტის წარმომადგენლობაზე, თუ ვერ მოახდენს კლიენტისგან წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით მის იდენტიფიცირებას კანონით დადგენილი წესით.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეკომენდაციაა, რომ ადვოკატებმა, კლიენტებთან ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან არიდების დებულებები. მაგალითად, ადვოკატებს შეუძლიათ კლიენტს მიაწოდონ ინფორმაცია ფულის გათეთრების გარიგების პრევენციის თაობაზე და კლიენტისაგან მიიღონ თანხმობა რომ ისინი არ ათეთრებენ ფულს ან არ წარმოადგენენ ტერორისტებს, ან ტერორიზმის დამფინანსებელ ორგანიზაციას ან/და მათთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ პირს.

62. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71 2010 წლის 31 მარტი ქ. თბილისი „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მე-19 მუხლი
 63. European Commission DG Internal Market and Services - Budget Final Study on the Application of the Anti-Money Laundering Directive Service Contract ETD/2009/IM/F2/90, DELOITTE, 2009
 64. იქვე, 69,70

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ადვოკატთა ასოციაციის არანეკრ იურისტებზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის რეგულაციები არ ვრცელდება, რაც პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენს. მაგ. ის იურისტები, რომლებიც კანონმდებლობის მიხედვით, ახორციელებენ კლიენტის წარმომადგენლობას მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში ან გასწევენ იურიდიულ კონსულტაციას მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების მიმართ და ადვოკატთა ასოციაციის წევრები არ არიან, ფულის გათეთრების საკანონმდებლო რეგულირების გარეშე არიან დარჩენილი. ასევე იურიდიული კომპანიის შემთხვევაში, კომპანიის პარტნიორები საქართველოს კანონის მიხედვით, დასაშვებია, რომ არ წარმოადგენდნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებს, რის გამოც მათზე კლიენტის იდენტიფიცირების და საექსპო გარიგებების გამოვლენის თაობაზე ვალდებულებები არ ვრცელდება. აღნიშნული არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებს და სხვა იურისტებს, ვინც იურიდიულ კონსულტაციას უწევენ კლიენტს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებებში. ეს უკანასკნელი მონაწილეობას არ იღებს ფულის გათეთრების პრევენციულ ზომებში და კანონით დადგენილი ვალდებულებები მასზე არ ვრცელდება.

2.2. პოლიტიკურად აქტიური პირების გამოვლენა

საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ ცალკე მუხლს უთმობს პოლიტიკურად აქტიური პირების იდენტიფიცირების წესებს. კანონის მე-2 მუხლის „ქ“ პუნქტის მიხედვით, პოლიტიკურად აქტიურ პირს მიეკუთვნება უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც უკავია საჯარო/სახელმწიფო თანამდებობა ან ეწევა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ან/და სახელმწიფოებრივ საქმიანობას.⁶⁵ კანონის მე-6¹ მუხლის მიხედვით, გარდა იმისა, რომ ადვოკატმა კლიენტის იდენტიფიცირება უნდა მოახდინოს პოლიტიკურად აქტიურ პირის შემთხვევაში, მან დამატებით უნდა მიიღოს ნებართვა ხელმძღვანელობისაგან ასეთ პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ან გაგრძელების მიზნით. მეორე პირობაა, რომ ასეთი კატეგორიის პირთან ურთიერთობისას, ადვოკატმა უნდა გამოიკვლიოს პოლიტიკურად აქტიური პირის ქონების წარმომავლობა ან ბენეფიციარი

65. პოლიტიკურად აქტიური პირი: უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. პოლიტიკურად აქტიური პირები არიან: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი და მთავრობის წევრი, აგრეთვე მათი მოადგილეები, სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი, უზენაესი სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სამხედრო ძალების ხელმძღვანელი პირი, ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საბჭოს წევრი, ელჩი, სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი პირი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) აღმასრულებელი ორგანოს წევრი, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე, ასევე მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მასთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში;

პირის ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების წარმომავლობის საკითხი. ბოლოს, ადვოკატმა უნდა განახორციელოს ასეთ პირთან ურთიერთობის გაძლიერებული მონიტორინგი. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მოგვიანებით გახდა კანონით გათვალისწინებული პოლიტიკურად აქტიური სტატუსის მქონე პირი, ადვოკატი ვალდებულია, ამ მომენტიდან მიმართოს კანონის მე-6¹ მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

პოლიტიკურად აქტიურ პირებთან კლიენტის იდენტიფიცირების გაძლიერებული ზომების გამოყენება უკავშირდება მათ გავლენას, რამაც შესაძლოა, ხელი შეუწყოს ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას, ისევე როგორც - კორუფციას. როდესაც იურისტს ურთიერთობა აქვს პოლიტიკურად აქტიურ პირებთან, მათი ოჯახის წევრებთან ან ახლობლებთან, მაშინ ასეთი ბიზნეს ურთიერთობის დაწყებისთვის იურისტმა უნდა მოითხოვოს უფროსი პარტნიორის თანხმობა, მიიღოს გონივრული ზომები, რომ დაადგინოს ქონებისა და ფონდების წყარო, დაანესოს გაძლიერებული მუდმივი მონიტორინგი ბიზნეს ურთიერთობაზე.⁶⁶

ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია და სტრასბურგის 1990 წლის კონვენცია არ ითვალისწინებს პოლიტიკურად აქტიური პირების თაობაზე განსაკუთრებული ზომების მიღებას. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენცია იზიარებს და ხელმძღვანელობს FATF-ის სტანდარტებით პირის იდენტიფიცირების და ფულის გათეთრების დანაშაულის პრევენციული ზომების მიღებისას.

FATF-ის მე-11 რეკომენდაციის მიხედვით, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს და ფინანსურ ინსტიტუტებს უნდა მოეთხოვოს, უცხოელ პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებით (კლიენტი თუ ბენეფიციარი მესაკუთრე), ჩვეულებრივი მომხმარებლის იდენტიფიცირების ზომებთან ერთად დამატებით გაითვალისწინონ, რომ:

- ა) ჰქონდეთ სათანადო რისკის მართვის სისტემა, რომ განსაზღვრონ მომხმარებელი ან ბენეფიციარი მესაკუთრე არის თუ არა პოლიტიკურად აქტიური პირი;
- ბ) მიიღონ ზემდგომი მმართველი ორგანოსაგან ასეთი ბიზნეს ურთიერთობის დაწყების დასტური;
- გ) მიიღონ გონივრული ზომები ქონების წყაროსა და ფონდების წყაროს განსაზღვრისათვის;
- დ) ორგანიზება გაუწიონ გაძლიერებულ მონიტორინგს ბიზნეს ურთიერთობაზე.⁶⁷

პოლიტიკურად აქტიური პირებისთვის დადგენილი მოთხოვნები, ასევე ვრცელდება პოლიტიკურად აქტიური პირების ოჯახის წევრებზე ან ახლობლებზე.⁶⁸

FATF-ის დასახელებულ რეკომენდაციაში მოცემული ზომები ასევე გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, მე-11 რეკომენდაციის „ა“ პუნქტით ადვოკატებს უნდა გააჩნდეთ რისკების მართვის იმგვარი სისტემა, რომ გამოავლინონ და განსაზღვრონ არის თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი პოლიტიკურად აქტიური პირი. მნიშვნელოვანია, რომ იურისტებს ჰქონდეთ შესაბამისი რისკების მართვის სისტემა სპეციალურად პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ, იმისთვის, რომ დაადგინონ კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესა-

66. A Lawyer's Guide to Detecting and Preventing Money Laundering, CCBE, ABA, IBA, October 2014, 16

67. FATF Recommendations 2012

68. იქვე, 16

კუთრე არის თუ არა პოლიტიკურად აქტიური პირი, აქვს თუ არა მინდობილი მის კლიენტს ან მომავალ კლიენტს საჯარო ფუნქციები ან არიან თუ არა პოლიტიკურად აქტიური პირის ახლობლები. როგორც რეკომენდაციით, ასევე კანონით, კლიენტის იდენტიფიცირების გაძლიერებული ზომები მიესადაგება არამართო ყველა უცხოელ პოლიტიკურად აქტიურ პირს, არამედ მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

გარკვეულ შემთხვევებში, კლიენტის იდენტიფიცირების გაძლიერებული ზომები, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს საქართველოს მოქალაქე პოლიტიკურად აქტიურ პირებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებით. თუ იურისტი განსაზღვრავს, რომ კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე არის საქართველოს მოქალაქე პოლიტიკურად აქტიური პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, იურისტმა უნდა შეაფასოს ბიზნეს ურთიერთობის რისკის დონე. თუ რისკის შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ასეთი ბიზნეს ურთიერთობა შეესაბამება მაღალ რისკს, იურისტმა უნდა გაატაროს კლიენტის იდენტიფიცირების ის გაძლიერებული ზომები, რაც უცხოელი პოლიტიკურად აქტიური პირების შემთხვევაში არის გათვალისწინებული.⁶⁹

2.3. მაღალი რისკის მქონე ქვეყნებიდან, ორგანიზაციებიდან კლიენტების გამოვლენა

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის⁷⁰ და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანების მიხედვით, ადვოკატმა უნდა შეაჩეროს კლიენტის წარმომადგენლობა, თუ პირის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება ან გარიგების მონაწილე მხარე შეყვანილია ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში.⁷¹

გაეროს 1267⁷² და 1373⁷³ რეზოლუციებით დადგენილია ვალდებულებები მაღალი რისკის შემცველი ორგანიზაციების და პირების გამოვლენის თაობაზე, რომლებიც მიჩნეული არიან საერთაშორისო ტერორიზმის და ტერორიზმის დამფინანსებელ პირებად. საქართველოს კანონის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-13¹ მუხლი ითვალისწინებს გაეროს რეზოლუციების ფარგლებში, რეზოლუციების შესრულებაზე პასუხისმგებელი კომისიის შექმნას, რომელიც შეიმუშავებს ტერორიზმთან დაკავშირებული პირების სიას და ამ პირების ან მათთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ღონისძიებებს ადმინისტრაციული სამართლის წესით.⁷⁴ საქართველოს მთავრობის 487

69. Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, CCBE, ABA, IBA p. 15-16

70. მე-5 მუხლი, პუნქტი მე-7

71. „ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №2, 2014 წლის 2 ოქტომბერი მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი

72. UN Security Council Resolution 1267 (1999)

73. Resolution 1373 (2001) Adopted by the Security Council at its 4385th meeting, on 28 September 2001

74. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონი 13² მუხლი

დადგენილების⁷⁵ მიხედვით, შექმნილია კომისია, რომელიც გაეროს რეზოლუციით და საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულების ტერორიზმის დაფინანსების და ტერორიზმში მონაწილე პირების და ორგანიზაციების გამოვლენას ემსახურება.

მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო“ კომისიის⁷⁶ მუშაობის შემდეგ, ტერორიზმში მონაწილე ან მათთან დაკავშირებული პირების გამოვლენის თაობაზე ინფორმაცია მიენოდოს ადვოკატებს. ადვოკატს, როგორც ფულის გათეთრების დანაშაულის და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის მონიტორინგის განმახორციელებელ პირს, უნდა გააჩნდეს ინფორმაცია ე.წ. „საშიში პირების“ სიის თაობაზე.⁷⁷

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია ინფორმაცია გაეროს კომიტეტის „ალ ქაიდას“ და „თალიბანის“ სიაზე დაყრდნობით და აღნიშნული სია საჯაროა. ამასთან, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განმარტებით, სია ეგზავნება ადვოკატთა ასოციაციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სიის, ყველა ნეერი ადვოკატისთვის მიწოდება.

სახელმწიფომ კი თავის მხრივ, 1267-ე და 1373-ე რეზოლუციების მიხედვით, უნდა მიიღოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი ზომები. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია ტერორიზმს აფინანსებს, უნდა მოხდეს ასეთი ორგანიზაციის ანგარიშების ან ფონდების დაუყოვნებლივ დაყადაღება.⁷⁸ ანგარიშების ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, MONEYVALL-ის 2012 წლის ანგარიშით რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფომ კანონმდებლობით მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი. კერძოდ, შესაძლებელი უნდა იყოს ანგარიშების დაუყოვნებლივ დაყადაღება, ასევე ტერორიზმის ან ტერორიზმის დაფინანსების სიაში შეყვანილი პირების, ორგანიზაციების ფონდებიდან თანხების დაყადაღების მოთხოვნა კანონმდებლობით მიჩნეული უნდა იყოს დასაბუთებულად. გაეროს 1276-ე და 1373-ე რეზოლუციებში დასახელებული პირების ან მათთან დაკავშირებული პირების ანგარიშების და ფონდების თაობაზე ანგარიშების დაყადაღების მოთხოვნა დაუყოვნებლივ უნდა იქნას შესრულებული და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ვადები უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ მოკლე ვადაში მოხდეს ანგარიშების დაყადაღება, რათა დანაშაულის პრევენცია მოხდეს დროულად.⁷⁹

75. საქართველოს მთავრობის დადგენილება №487, 2011 წლის 21 დეკემბერი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ
 76. მთავრობის დადგენილება 487, 21 დეკემბერი 2011 წელი
 77. UN Security Council Resolution 1267 (1999)4 para;
 78. იქვე;
 79. MONEYVAL report 2012 , 84, ინფორმაცია იხილეთ: [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/Evaluations/round4/GEO4_Summ_MONEYVAL\(2012\)18_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/Evaluations/round4/GEO4_Summ_MONEYVAL(2012)18_en.pdf)

2.4. კლიენტის იდენტიფიცირების წესების მესამე პირებზე გადახდობა

საქართველოს კანონის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით და FATF-ის მე-17 რეკომენდაციის თანახმად, ადვოკატებმა იდენტიფიკაციის წესების განხორციელება შეიძლება მიანდონ მესამე პირებს, თუმცა მომხმარებლის იდენტიფიკაციის ზომებზე საბოლოო პასუხისმგებლობა რჩება ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც მესამე პირს ეყრდნობა.

საქართველოს კანონის დებულებები შესაბამისობაშია FATF-ის მე-17 რეკომენდაციასთან, რომლის მიხედვით იდენტიფიცირების წესების მესამე პირების გადანდობისას ადვოკატების შემთხვევაში ვრცელდება ფინანსური ინსტიტუტისთვის დადგენილი წესები, რომლის მიხედვით:

- ა) ფინანსური ინსტიტუტი რომელიც ეყრდნობა მესამე პირს, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს მე-10 რეკომენდაციაში მოცემული კლიენტის იდენტიფიცირების წესებთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია.
- ბ) ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები რომ იდენტიფიკაციის მონაცემები ან კლიენტის იდენტიფიკაციისთვის სათანადო დოკუმენტაცია მესამე პირისგან მოთხოვნისთანავე მოიპოვონ
- გ) ფინანსურმა ინსტიტუტმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ მესამე პირები იყვნენ ფულის გათეთრების კანონის მოქმედების სფეროში და გააჩნდეთ კლიენტის იდენტიფიცირებისთვის გათვალისწინებული ზომების მიღების შესაძლებლობა

იმ საკითხის განსაზღვრისას, თუ რომელ ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას მესამე პირი, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ინფორმაცია ქვეყნის რისკის დონის შესახებ.⁸⁰

მაშინ როდესაც ფინანსური ინსტიტუტი გადანდობს უფლებამოსილებას მესამე პირს, ასეთ დროს, მესამე პირი ამავე ჯგუფის წევრი უნდა იყოს და უნდა აკმაყოფილებდეს FATF-ის რეკომენდაციით⁸¹ გათვალისწინებულ მოთხოვნას მომხმარებლის იდენტიფიკაციის წესებისა და ჩანაწერების წარმოების თაობაზე. ამასთან, რეკომენდაციით დადგენილი მოთხოვნის შესრულება, მესამე პირებზე იდენტიფიცირების წესების გადანდობის შემთხვევაში, უნდა კონტროლდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელმაც შეიძლება გადაწყვიტოს იღებს თუ არა ფინანსური ინსტიტუტი სათანადო ზომებს. მესამე პირებზე იდენტიფიცირების წესების გადანდობა გულისხმობს, რომ ქვეყნის მაღალი რისკი სათანადოდ იქნება შემსუბუქებული ფულის გათეთრების პოლიტიკის და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში.⁸²

ადვოკატებს შეუძლიათ დაეყრდნონ მესამე პირებს, რათა განახორციელონ კლიენტის იდენტიფიცირების ზომები მათ სასარგებლოდ. აღნიშნული ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც

80. FATF Recommendations 2012, 16

81. FATF Recommendation 10,11,17, 2012

82. FATF Recommendations 2012, 18

საც კლიენტი და ადვოკატი არიან სხვადასხვა ქვეყნებში. პასუხისმგებლობა რჩება იმ ადვოკატზე, ვინც გადანდობას აკეთებს. კერძოდ ადვოკატს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ მესამე პირის იურიდიული მომსახურების შედეგად ხელი შეუწყო ფულის გათეთრებას და ვერ მოახდინა კლიენტის დროული იდენტიფიცირება.⁸³

ადვოკატი მესამე მხარის არჩევისას, უნდა დარწმუნდეს, რომ მესამე მხარეს აქვს კარგი რეპუტაცია, არის ზედამხედველობის ქვეშ, აქვს ზომების მიღების საშუალება კლიენტის იდენტიფიცირებისათვის და ჩანაწერების წარმოებისათვის, აქვს საჭირო ინფორმაცია იმ ქვეყნის რისკების შესახებ, სადაც სრულდება მომსახურება.⁸⁴ ადვოკატმა მოთხოვნიდან დაუყოვლებლივ უნდა მიიღოს მესამე პირისაგან კლიენტის იდენტიფიცირების მიზნით შეგროვილი დოკუმენტაცია და ჩანაწერები.⁸⁵

83. A Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, CCBE, ABA, IBA 16

84. იქვე

85. იქვე 17

3.1. ინფორმაციის შენახვის წესი

ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, კლიენტის იდენტიფიცირებისას, კლიენტის მონაცემების დამუშავების შემდეგ, ინფორმაციის შენახვის ვალდებულებას ადვოკატებს აკისრებს. კლიენტის იდენტიფიცირების მიზნით, ადვოკატის მიერ დამუშავებული ინფორმაცია წარმოადგენს კლიენტის პერსონალურ ინფორმაციას⁸⁶ „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ავტომატური საშუალებებით დამუშავებისას“ 1981 წლის ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით.⁸⁷ შესაბამისად, კლიენტის პირადი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში ხვდება. კანონმდებლობით ადვოკატს, როგორც ინფორმაციის დამმუშავებელს, ეკისრება ვალდებულება მიიღოს სათანადო ზომები ინფორმაციის აღრიცხვის თაობაზე, რაც მონაცემების შენახვის ვადის განსაზღვრას,⁸⁸ მონაცემების პერიოდულად განახლებას და ინფორმაციის უსაფრთხოების წესების მიღებას მოიცავს.⁸⁹ ასევე, ადვოკატი ვალდებულია, მონაცემების დამუშავებისას ან კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ინფორმაცია მის შესახებ, რაც დაცულია საადვოკატო ბიუროში.⁹⁰ დოკუმენტების აღრიცხვისას, ადვოკატმა უნდა აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი, რაც გულისხმობს, კლიენტის ინფორმაციის აღრიცხვას, კერძოდ რა სახის ინფორმაცია ინახება მასთან, ინფორმაციის შენახვის საფუძველი, მიზანი, ვადა, რა ვადის განმავლობაში ინახება მასთან ეს ინფორმაცია და ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-19 მუხლით არის გათვალისწინებული.

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, არ არის განსაზღვრული კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაში ინფორმაცია შეიძლება

86. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-2 მუხლის „ა“

87. კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 2005 წლის 28 ოქტომბერს განახორციელა, პერსონალური მონაცემების ცნებას კონვენციის მე-2 მუხლის ა პუნქტი ითვალისწინებს

88. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის , მუხლი 4, პუნქტი „ე“

89. იქვე

90. იქვე მუხლი 21, 15

შენახული იყოს. კერძოდ, ხსენებული მუხლის მიხედვით, მონაცემები შენახული უნდა იყოს იმ ვადით, რაც აუცილებელია მისი დამუშავების მიზნის მისაღწევად. დეტალური ჩანაწერი ინფორმაციის შენახვის ვადაზე და წესზე მოცემულია FATF-ის მე-11 რეკომენდაციაში, რომლის მიხედვით, ფინანსურმა ინსტიტუტებმა სულ მცირე 5 წლის ვადით უნდა შეინახონ ყველა საჭირო ჩანაწერი. რეკომენდაციის მიხედვით, იგულისხმება, როგორც შიდა ისე საერთაშორისო გარიგებების თაობაზე ინფორმაციის შენახვა, რაც შესაბამისი ორგანოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მათ საშუალებას მისცემთ სწრაფად მიიღონ სათანადო ინფორმაცია.

ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვება ყველა იმ ჩანაწერის და ოფიციალური იდენტიფიცირების დოკუმენტაციის ასლების შენახვა, როგორცაა პასპორტი, პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა ან სხვა მსგავსი დოკუმენტი, ანგარიშთან დაკავშირებული დოკუმენტები და კლიენტთან მიმონერა, სულ მცირე 5 წლის განმავლობაში, მას მერე რაც ბიზნეს ურთიერთობა დასრულდება.⁹¹

დოკუმენტების შენახვის წესი, როგორც ფინანსური ინსტიტუტების, ასევე დამოუკიდებელი პროფესიების (ადვოკატის შემთხვევაში) - საერთოა. კერძოდ, FATF-ის რეკომენდაციით, იურისტებმა ბიზნეს ურთიერთობის დასრულებიდან ან გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში უნდა შეინახონ ყველა გარიგების შესახებ ჩანაწერები, რაც შესაძლოა, სათანადო ორგანოების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას შეიცავდეს. კერძოდ, ფაილები და კლიენტთან მიმონერა ბიზნეს ურთიერთობის დასრულებიდან ან გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში. რეკომენდაციის თანახმად, ჩანაწერებში მოიაზრება, როგორც ელექტრონული კომუნიკაცია და დოკუმენტაცია, ასევე ფიზიკურად (მყარი ფორმით დაცული) არსებული დოკუმენტაცია. იურისტმა ჩანაწერები იმ ფორმით უნდა აწარმოოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს მტკიცებულების სახით.⁹²

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ინფორმაციის შენახვის ვადას, კერძოდ, მე-8 მუხლის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია კლიენტის იდენტიფიცირებისთვის წარმოადგენილი დოკუმენტაცია და გარიგების შესახებ სხვა ინფორმაცია შეინახოს 6 წლის განმავლობაში.

91. FATF Recommendations 2012, 15

92. A Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, CCBE, ABA, IBA, 15

3.2. ინფორმაციის უსაფრთხოების ვალდებულება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, დამმუშავებელმა პირმა უნდა მიიღოს ზომები მონაცემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოიცავს ინფორმაციის დამმუშავებელი პირის (ადვოკატის) ვალდებულებას დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიის გათვალისწინებით, მონაცემთა უსაფრთხოების სისტემა.

FATF-ის მე-15 რეკომენდაციის თანხმად, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს შეეხება, ქვეყნებმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა იდენტიფიცირება უნდა მოახდინონ და შეაფასონ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ა) ახალი პროდუქციისა და ახალი ბიზნეს-პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, რაც მოიცავს ინფორმაციის გაგზავნის ახალ მექანიზმებს და ბ) ახალი ან განვითარებადი ტექნოლოგიების გამოყენებას ახალი და მანამდე არსებული პროდუქციისათვის. ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, ახალი პროდუქციის, ბიზნეს-პრაქტიკის ან ახალი და განვითარებადი ტექნოლოგიების გამოყენებამდე ჯერ ასეთი რისკი უნდა შეფასდეს.⁹³

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილია, რომ მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რისკებს, რომ ახალი ტექნოლოგიისა და მომსახურების დროს ყველა ზომა იქნეს მიღებული ტერორიზმის ან ფულის გათეთრების გამოვლენისთვის.

მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უნდა ჰქონდეს იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით პირის დისტანციურ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას. აღნიშნული ნორმით განსაზღვრული პოლიტიკის და პროცედურების გამოყენება საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას და მისი მუდმივი მონიტორინგის დროს უნდა მოხდეს.

93. FATF Recommendations 2012, 17

4.1. კონფიდენციალობის პრინციპი

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ადვოკატებისთვის არსებული ისეთი ვალდებულებების პარალელურად, როგორცაა: კლიენტების იდენტიფიკაცია, ინფორმაციის ანალიზი, საეჭვო გარიგების გამოვლენა და ინფორმაციის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისათვის მიწოდება, გარიგების და მასში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვა და შენახვა, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის მუდმივი მონიტორინგი, მათ ასევე ეკისრებათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები. კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ამავე კანონის მე-7 მუხლის მიხედვით „ა) ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან რომელიც ადვოკატმა მიანოდა კლიენტს ან ადვოკატმა გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“ იმავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ, ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.“ აღნიშნული მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრულია რომ „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისათვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ

ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისაგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.“

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობას, რომლის ძირითადი საყრდენია ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვა. კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის, ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა ანუ იმ ინფორმაციის დაცვა, რომელიც მისთვის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე გახდა ცნობილი. ადვოკატს ასევე ევალება გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად კლიენტისგან უშუალოდ მიღებული ინფორმაციის, კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს. პროფესიული მიდგომა კი რამდენიმე კომპონენტს შეიცავს და საადვოკატო საქმიანობაში კლიენტის ინტერესების უპირატესობას, ადვოკატის პირადი და სხვა პირების ინტერესების არიდებას, ამ უკანასკნელთა კლიენტის ინტერესებში აღრევის დაუშვებლობას გულისხმობს. დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტთან მუდმივ კომუნიკაციას ნიშნავს და კლიენტის ინტერესების ერთგულად დასაცავად, მის ინფორმირებას, კონკრეტული ინფორმაციის (მ.შ. მტკიცებულების) გამოყენებისათვის კლიენტისაგან თანხმობას მოითხოვს.

პროფესიული მიდგომა ადვოკატს ავალდებულებს, კლიენტის იურიდიულ დახმარებას მისაღები გადაწყვეტილების მიღებაში, კლიენტისთვის სასაურველი იურიდიული ინტერესის დასაცავად და შედეგის მისაღწევად, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით განხორციელებულ საქმიანობას. აღნიშნული ვალდებულებებით დატვირთული სამართლებრივი ურთიერთობა ადვოკატს მორალურ-ზნეობრივ პასუხისმგებლობას აკისრებს და კონფიდენციალური ინფორმაციისადმი მოპყრობას სხვადასხვა თვალსაზრისით ასახავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში.⁹⁴

კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში, საინტერესოდ წარმოჩნდა ეთიკის კომისიის, როგორც კვაზი-სასამართლოს მქონე ორგანოს საქმიანობაშიც.

ა) კონფიდენციალობის ვალდებულება დროის საზომით არ შემოიფარგლება

„კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ეკისრება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა“.⁹⁵ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში კლიენტისაგან მიღებული ან მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გათქმა, მისი გაუმჟღავნებლობის დაუცველობა, თუნდაც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის (კლიენტის ან ადვოკატის ინიციატივით), მომსახურების დასრულების (ხელშეკრულების ვადის გამო) არ აძლევს ადვოკატს იმის საფუძველს, რომ ამონაურულად მიიჩნიოს ის ვალდებულება, რომელიც კონფიდენციალობის პრინციპს უკავშირდება. ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული

94. ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრევენციული ზომების აღწერა 2010-2013 წლები, თბილისი 2013, გვ.24

95. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N134/12, 27 მაისი, 2013 წელი

ვადით შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე და შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს“.⁹⁶

ბ) ადვოკატის ვალდებულება გაამართლოს კლიენტის ნდობა

„ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და ნდობის საფუძველზე იყოს ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა“. ამდენად, კონფიდენციალობა ადვოკატის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვალეობაა.⁹⁷ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონფიდენციალობის პატივისცემა.⁹⁸ ადვოკატის მოვალეობაა, პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას ეროვნული კანონმდებლობის, დებულებებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. პროფესიული საიდუმლოების ნებისმიერი სახით დარღვევა კლიენტის თანხმობის გარეშე, შესაბამის სანქციებს უნდა ექვემდებარებოდეს.⁹⁹

ერთ-ერთ საქმეზე, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ კომისიისთვის კლიენტის თაობაზე ადვოკატის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებებში „გაკეთებულია ისეთი შეფასებები, რომლებიც არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს, ვინაიდან იგი მოიცავს კლიენტისგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც“.¹⁰⁰

ადვოკატმა უნდა გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც კლიენტისგან ან მის საქმეზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ეხება ანუ ეს არის სრულიად გონივრული მოლოდინი კლიენტის მხრიდან, რომელიც ადვოკატს სწორედ იმიტომ უმხელს მისთვის ყველაზე სათუთ, შესაძლოა მტკივნეულ, მორალურად მძიმე, საზოგადოების მხრიდან გასაკიცხ ინფორმაციას, რომ ადვოკატისაგან ელოდება დახმარებას, სამართლებრივი გამოსავლის მოძებნას, მოსალოდნელი შედეგიდან, კანონიერების პრინციპის დაცვით, მისთვის ყველაზე უფრო მისაღები მიზნის მისაღწევად პროფესიულ თანადგომას.¹⁰¹

გ) კლიენტის წინააღმდეგ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობა

ეთიკის კოდექსის მეოთხე მუხლი 2012 წლის 08 დეკემბრის ცვლილება-დამატებებამდე (ძველი რედაქციით 15.04.2006.) არ შეიცავდა ჩანაწერს კონფიდენციალური ინფორმაციის კლიენტის წინააღმდეგ გამოყენების აკრძალვის შესახებ. ამის საჭიროება ეთიკის კომისიის

96. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N134/12, 27 მაისი, 2013 წელი.

97. ევროკავშირის ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) -2.3-2.3.1 http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis_qcevis_kodeqsi.pdf

98. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21- პრინციპი I, პუნქტი 6 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf>

99. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21-პრინციპი III, პუნქტი 2 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf>

100. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N092/10, 14 ივნისი, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf

101. ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრევენციები, რეკომენდაციები 2010-2013 წლები, თბილისი 2013, 26

პრაქტიკამ წარმოაჩინა. ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას. ინფორმაციის დაცვა მოიცავს ასევე ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ“.¹⁰²

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა, კლიენტის საქმის წარმოების პროცესში ამ უკანასკნელისაგან მიღებული ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მისსავე საზიანოდ გამოიყენა და საკუთარი ინტერესი დაიკმაყოფილა; საკუთარი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატმა მოთხოვნა წარადგინა სასამართლოში და კლიენტის პირად ანგარიშს, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ყადაღა დაედო.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევით იმოქმედა ადვოკატმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ კლიენტის მიერ მიერ შეტანილ საჩივარს კლიენტის წინააღმდეგ მისი პირადი სახის ინფორმაციის მოპოვებითა და კომისიაში წარდგენით უპასუხა.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა: „ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის ჯანმრთელობის შესახებ ადვოკატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ვინაიდან კონფიდენციალურად მიიჩნევა ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას, როგორც უშუალოდ კლიენტისაგან, ასევე ადვოკატის მიერ სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია. მართალია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ეთიკის კომისიაში ყოფილი კლიენტის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად, მაგრამ ეთიკის კომისიის შეფასებით ადვოკატმა თავი უნდა დაიცვას კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებით“.¹⁰³

კლიენტი ადვოკატს მინდობილობას/ორდერს გადასცემს მისი ინტერესების დაცვის მიზნით და იგი უფლებამოსილი არ არის აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მათ შორის, საკუთარი ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში კი, ისარგებლოს რა კლიენტის მინდობილობით/ორდერით და ეთიკის კომისიაში კლიენტის ბრალდებისაგან თავის დასაცავად წარსადგინი ინფორმაცია გამოითხოვოს მისი სახელით. ეთიკის კომისია თვლის, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ყოფილი კლიენტის მიერ გაცემული დოკუმენტაციით სარგებლობის აკრძალვას, ვინაიდან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული ქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება“.¹⁰⁴

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციების პროექტის ფარგლებში წერილობითი მოსაზრება გასცა ჰიპოთეტურ შეკითხვაზე, რომელიც ადვოკატის მიერ საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, კლიენტის შესახებ გაკეთებული განცხადების შეფასებას ეხებოდა. ეთიკის კომისია ხსენებული რეკომენდაციით ადვოკატთა ყურადღება მიაქცია იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომ თუნდაც ობიექტურად არსებული ფაქტები და მტკიცებულებ-

102. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N094/11, 10 აპრილი, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf

103. ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრევენციული, რეკომენდაციები 2010-2013 წლები, თბილისი 2013, 27

104. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N001/12, 27 ივნისი, 2012 წელი

ბები, რომლებიც ადვოკატმა პროფესიული საქმიანობისას მოიპოვა, უკავშირდება კლიენტს ანდა მის საქმეს, არ უნდა იქნას გამოყენებული ადვოკატის სუბიექტური შეხედულების მიხედვით. მხოლოდ კლიენტის გადასანყვეტია, თუ რომელი ინფორმაცია და რა მოცულობით იქნება მისივე მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებული; შესაბამისად, აპეკ-ით განმტკიცებული კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კონფიდენციალობის პრინციპების კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულება მოქმედებს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე. კონფიდენციალობის იგივე ვალდებულება, რომელიც დროში შეუზღუდავია, აქტუალურია და კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგაც მოქმედებს.

4.2. კონფიდენციალობის პრინციპისა და ფულის გათეთრების/ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებათა ურთიერთმიმართება — საერთაშორისო მიდგომა

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცნობის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის აღნიშნული კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმითა და წესით წარდგენას.“ ამავე კანონის მე-7 მუხლს, რომელიც პროფესიული საიდუმლოების დაცვას ანებსრიგებს, 2013 წლის 27 ნოემბერს დაემატა 1¹ პუნქტი, რომელმაც განსაზღვრა, რომ „ადვოკატი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშების ფორმას აგ ზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშების ფორმის გაგ ზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს. (27.11.2013. N1639)“. მსგავსი ნორმა მოცემული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პრიმა მუხლით, როცა ადვოკატი ინფორმაციას არ აგ ზავნის ადვოკატთა ასოციაციაში, თუ ის კონფიდენციალობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნაში ადვოკატთა ჩართულობისა და ამ ჩართულობის უზრუნველსაყოფად დაკისრებული მოვალეობებისა და ადვოკატთა პროფესიის ეთიკური ვალდებულებების კონკურენციასა და დისციპლინური გადაცდომის გადაჭრის გზებს ვრცლად ეხება როგორც FATF-ის ანგარიში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხარვეზების შესახებ იურისტებისათვის, ასევე საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციისა და ევროპის ადვოკატთა საბჭოსა და სამართლის საზოგადოებების იურისტთა სახელმძღვანელო იურისტის მიერ ფულის გათეთრების დადგენისა და თავიდან აცილების

შესახებ. 2012 წლის ნოემბერში FATF/GIABA ექსპერტთა შეხვედრაზე, საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციამ წარმოადგინა ქცევის საერთაშორისო პრინციპები იურიდიული პროფესიისათვის და გამოყო ზოგიერთი კონკურენტული ეთიკური მოთხოვნები იურისტებისათვის, რაც გასათვალისწინებელი იყო ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.¹⁰⁵

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის პრინციპები მიღებულია 2011 წელს და არ არის სავალდებულო წევრი ასოციაციებისთვის და იურისტთა საზოგადოებებისთვის. თითოეულ პროფესიულ ასოციაციას და იურიდიული სექტორის მარეგულირებელს ან ზედამხედველს აქვს თავისი ეთიკური ან პროფესიული წესები ან ეთიკის კოდექსი. ამ ორგანიზაციათა უმრავლესობას, მაგრამ არა ყველას, აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ამ წესების შესაბამისი ქცევა და დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, უფლებამოსილია, იურისტები ჩამოაშორონ პრაქტიკას.¹⁰⁶

უმეტეს თვითრეგულირებად ორგანოებს მიაჩნიათ, რომ ქცევის კოდექსები იცავენ იურისტებს ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებაში შეგნებული ჩართვისაგან. უფრო მეტიც, თუ წევრს აქვს ეჭვი გარიგების ან თავად კლიენტის შესახებ, წევრმა უნდა შეწყვიტოს მოქმედება ან უარი თქვას მოქმედების განხორციელებაზე, ვინაიდან მას პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით, უფლება არ ჰქონდა ჩაბმულიყო დანაშაულებრივ საქმიანობაში კლიენტთან ერთად.¹⁰⁷

FATF-ის რეკომენდაციები განსაკუთრებით აღიარებენ პროფესიული პრივილეგიიდან და პროფესიული საიდუმლოებიდან მომდინარე გამონვევებს. რეკომენდაციები ცდილობენ გაამარტივონ ეს კონფლიქტი იურისტებისთვის განსაზღვრით, რომ არ არსებობს შეტყობინების ვალდებულება, როდესაც პროფესიული პრივილეგია ან პროფესიული საიდუმლოება მოქმედებს.¹⁰⁸

კლიენტის უფლება, წარმოადგინონ მისი ინტერესები და მიიღოს სამართლებრივი რჩევა; იყოს გულწრფელი თავის სამართლებრივ მრჩეველთან და არ ეშინოდეს ამ დისკუსიების შემდგომი გამჟღავნების ზიანის მიუყენებლად; აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში როგორც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე ფუნდამენტური უფლების ასპექტად.¹⁰⁹

FATF-ის რეკომენდაციები აღიარებს ამ უფლებას საეჭვო გარიგების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისაგან იმ ინფორმაციის გამორიცხვით, რასაც მოიცავს პროფესიული პრივილეგია ან პროფესიული საიდუმლოება და უზრუნველყოფს, რომ თითოეული ქვეყნის საქმეა თუ რას მოიცავს ეს ტერმინები.¹¹⁰

ტერმინები კონფიდენციალობა, პროფესიული პრივილეგია და პროფესიული საიდუმლოება ხშირად ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება, რომ აღწერონ ამ უფლების დაცულობა, მაგრამ სამართლებრივად თითოეულ ტერმინს აქვს სხვადასხვა გამოყენება, მნიშვნელობა და შედეგი სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით.¹¹¹

105. Money Laundering and Terrorist Financing Vulnerabilities of Legal Professionals, FATF Report, June 2013, 15

106. Money Laundering and Terrorist Financing Vulnerabilities of Legal Professionals, FATF Report, June 2013, 15

107. იქვე 17

108. იქვე 18

109. იქვე 19

110. იქვე 20

111. იქვე

პროფესიული პრივილეგიისა და პროფესიული საიდუმლოების სფერო ფართოა და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. კონფიდენციალობა მიესადაგება ყველა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელს და ვრცელდება ინფორმაციაზე, რომელსაც იურისტი იღებს კლიენტებთან და პოტენციურ კლიენტებთან ურთიერთობისას. ქვეყანათა უმეტესობაში, კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს კლიენტის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.¹¹²

პროფესიული პრივილეგია და პროფესიული საიდუმლოება კონფიდენციალობასთან შედარებით ინფორმაციის დაცვის უფრო მაღალ დონეს გვთავაზობს. პროფესიული პრივილეგიისა და პროფესიული საიდუმლოებისაგან გათავისუფლება ხშირად შედის საკონსტიტუციო სამართალში ან აღიარებულია საერთო სამართლით და მიბმულია საერთაშორისო ვალდებულებებით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან.¹¹³

როდესაც იურისტი, არაკეთილსინდისიერი მოქმედების შედეგად, ჩართული აღმოჩნდება ფულის გათეთრებასა ან ტერორიზმის დაფინანსებაში, მაშინ მისი მოქმედება ექვემდებარება დისციპლინირებას. იურისტის ჩართულობის ხარისხის მიხედვით, დისციპლინური წარმოება შეიძლება იყოს დამატებითი მოქმედება ან სისხლის სამართლის საქმის დანყების სანაცვლო მოქმედება.¹¹⁴

FATF/GIABA ექსპერტთა შეხვედრებზე, პროფესიული საიდუმლოების გარდა, სხვა ეთიკური ვალდებულებების მიმართაც იყო მსჯელობა:

- იმ ქვეყნებში, სადაც იურისტებს გააჩნდათ კლიენტის იდენტიფიცირების ვალდებულება ეროვნულ კანონმდებლობაში და ასეთი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სასამართლო ბრძანების გარეშე, ბევრმა იურისტმა ეს მიიჩნია დამოუკიდებლად მოქმედების ხელყოფად.
- იმ ქვეყნებში, სადაც განაცხადის შევსების პარალელურად, იურისტებს მოეთხოვებოდათ გაეგრძელებინათ გარიგება ან ასე უნდა მოქცეულიყვნენ შეტყობინების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ არ შეეძლოთ ემსჯელათ საექვო გარიგების შეტყობინების შესახებ კლიენტთან, იურისტების აზრით, კანონი ავალდებულებდათ ემოქმედათ ინტერესთა კონფლიქტის ქვეშ. ბევრმა გამოხატა მოსაზრება, რომ თუ საექვო გარიგების შესახებ შეტყობინება იყო გარანტირებული, ეს იყო კლიენტის ნდობის/პროფესიული ურთიერთობის დასასრული და არ იყო სწორი კლიენტის სახელით შემდგომი მოქმედება.¹¹⁵

გარდა სისხლის სამართლისა, პროფესიული ეთიკა იურისტებისგან მოითხოვს, არ დაეხმარონ კლიენტებს დანაშაულის ჩადენაში. იურისტთა როლის მნიშვნელოვანი ნაწილია დანაშაულში ბრალდებული პირების დაცვა. ამის მსგავსად, იურისტები ხშირად ურჩევენ კლიენტებს თუ რა შეიძლება იყოს დანაშაული ან უკანონო მოქმედება, რაც მათ მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას წარმოადგენს, თუმცა პროფესიული ეთიკა მოითხოვს იურისტები არ დაეხმარონ კლიენტს დანაშაულის ჩადენაში და პროფესია იყოს დამნაშავეთა მიერ კანონსაწინააღმდეგოდ გამოყენების სადარაჯოზე. ეთიკური ვალდებულება მოითხოვს იურისტებისგან, ფრთხილად გაიზარონ მათი კლიენტების რეპუტაცია და მოტივაცია „კლიენტის იდენტიფიცირებით“ — იურის-

112. Money Laundering and Terrorist Financing Vulnerabilities of Legal Professionals, FATF Report, June 2013, 20
 113. Money Laundering and Terrorist Financing Vulnerabilities of Legal Professionals, FATF Report, June 2013, 20
 114. იქვე 18
 115. იქვე

ტებს შორის ამაზე მცირე უთანხმოებაა. უფრო რთული ეთიკური საკითხია უნდა მოეთხოვოთ თუ არა იურისტებს კლიენტების შესახებ სახელმწიფო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება თუ მათზე ეჭვს მიიტანენჭფულის გათეთრებაში. ამ კუთხით, იურისტებს სირთულე ემატებათ „ეჭვის“ სამართლებრივი სტანდარტის ჩამოყალიბებაში, რაც შეიძლება დაბალი იყოს.¹¹⁶

საჯარო ინტერესი ხაზს უსვამს როგორც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ღონისძიებებს, ასევე კლიენტის წინაშე არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას. აღნიშნულ ორ ვალდებულებას შორის გარკვეული დაძაბულობა არსებობს. კლიენტების საეჭვო გარიგების შესახებ შეტყობინების ვალდებულებით, 40 რეკომენდაცია ქმნის პროფესიის დამოუკიდებლობის დათმობის საფრთხეს, რადგან სახელმწიფო ორგანოებისთვის კლიენტების საეჭვო გარიგების შესახებ ინფორმაციის შეტყობინებით, იურისტები ხდებიან სახელმწიფოს ჯაშუშები. ნესმა, რომელიც უკრძალავს იურისტებს, ვინც განაცხადებს საეჭვო გარიგების შესახებ, აღნიშნული აცნობონ კლიენტებს, აზიანებს კლიენტების რწმენას მათი იურისტების მომსახურებაში და გავლენას ახდენს მართლმსაჯულების ადმინისტრაციაზე.¹¹⁷

FATF-ის 23-ე რეკომენდაციის განმარტებითი ბარათი გამორიცხავს იურისტების ვალდებულებას საეჭვო გარიგების შესახებ შეტყობინებაზე, როდესაც ინფორმაცია განეკუთვნება პროფესიულ საიდუმლოებას. განმარტებითი ბარათები ეხმარება ქვეყნებს რეკომენდაციების დანერგვაში და არ აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა. აღნიშნული რეკომენდაციის განმარტებითი ბარათი ასევე აცხადებს, რომ *„თითოეული ქვეყნის განსასაზღვრია რა საკითხებია დაცული პროფესიული პრივილეგიითა და პროფესიული საიდუმლოებით.“* შესაბამისად, იურისტებისთვის მთავარია ეროვნული კანონების ცოდნა, პროფესიულ პრივილეგიასა და პროფესიულ საიდუმლოებასთან მიმართებით, იმის გასარკვევად, ირღვევა თუ არა კონფიდენციალობა, როდესაც ადვოკატი საეჭვო გარიგების შესახებ განაცხადს აკეთებს. ეროვნული კანონები განსაზღვრავენ, კონკრეტულ იურისდიქციაში რა შემთხვევებს ფარავს პროფესიული საიდუმლოება.¹¹⁸ ამასთან, „უკანონო შემოსავლის და ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის ჩანაწერი, რომ ადვოკატებმა კლიენტის წამომადგენლობა უნდა გააგრძელონ საეჭვო გარიგების მიუხედავად, არ შეესაბამება ადვოკატთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამოუკიდებლობის პრინციპს, რადგან ადვოკატს უფლება არ აქვს დატოვოს კლიენტის წარმომადგენლობა, თუ მიიჩნევს, რომ საეჭვო გარიგებას აქვს ადგილი. ადვოკატს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, რომ თავად გადაწყვიტოს, დატოვოს კლიენტის წარმომადგენლობა თუ არა, კლიენტის ინტერესების დაუზიანებლად, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როცა კლიენტს უნდა მიეცეს გონივრული ვადა და შესაძლებლობა ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით.

მთელ რიგ ქვეყნებში:

კლიენტს შეუძლია უარი თქვას უფლებაზე, რაც დაცულია პროფესიული პრივილეგიითა და პროფესიული საიდუმლოებით, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში, იურისტი ვალდებულია, უარი

116. A Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, A collaborative publication of the International Bar Association, the American Bar Association and the Council of Bars and Law Societies of Europe, October 2014, 20
 117. A Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, A collaborative publication of the International Bar Association, the American Bar Association and the Council of Bars and Law Societies of Europe, October 2014, 20
 118. იქვე 21

თქვას კლიენტის უარზე დაცული იყოს ამ უფლებით, თუ ჩათვლის, რომ კლიენტის ეს მოქმედება მის საუკეთესო ინტერესებში არ შედის. პროფესიული პრივილეგია და პროფესიული საიდუმლოება დაცვის ვალდებულება დაირღვევა, თუ იურისტი გამოყენებული იქნება დანაშაულისა და თაღლითობის მიზნებისთვის.

პროფესიული პრივილეგია და პროფესიული საიდუმლოების დარღვევის შედეგები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება.¹¹⁹ ზოგიერთ ქვეყანაში დარღვევა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. ზოგიერთ ქვეყანაში დარღვევა ისჯება დისციპლინური სამართალწარმოებით ან კლიენტს შეუძლია, სარჩელით მიმართოს სასამართლოს ადვოკატის წინააღმდეგ.¹²⁰

ქვეყანათა უმეტესობაში, თუ მტკიცებულება მიღებულია პროფესიული პრივილეგიისა და პროფესიული საიდუმლოების დარღვევით, მტკიცებულება ვერ იქნება გამოყენებული სასამართლო წარმოებისას და ზოგიერთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა მტკიცებულება, რომელიც არასათანადო გზით არის მოპოვებული, ასევე დაუშვებელია. ამან შეიძლება ბრალდება ცუდ მდგომარეობაში ჩააგდოს. ზოგიერთ ქვეყანაში, არსებობს იურისტის ოფისის ჩხრეკის ან მისი დოკუმენტების შემოწმებისთვის ბრძანების მიღებისთვის არსებითი შეზღუდვები.¹²¹

2013 წლის 06 მარტის საბოლოო გადაწყვეტილებაში საქმეზე Michaud v France (განაცხადი 12323/11) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ არ ირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა). საქმე ეხებოდა ფულის გათეთრებისა და ფინანსური ტერორიზმის მოთხოვნების გავრცელებას იურისტებზე, საექვო გარიგების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით. განმცხადებელი ამბობდა, რომ აღნიშნული ვალდებულება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც იცავს იურისტსა და კლიენტს შორის გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალობას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იურისტსა და მათ კლიენტებს შორის გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობას, ისევე როგორც, პროფესიულ საიდუმლოებას. სასამართლომ მაინც ჩათვალა, რომ საექვო გარიგების შესახებ შეტყობინების ვალდებულება აუცილებელი იყო ბრძანების დაცვის გამართლებული მიზნისა და დანაშაულებრივი მოქმედებების პრევენციის მისაღწევად, როცა ის მიზნად ისახავს ფულის გათეთრებისა და დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საექვო გარიგების შესახებ შეტყობინების ვალდებულების დანერგვა საფრანგეთში არ იყო პროფესიული საიდუმლოების არათანაზომიერი დარღვევა ორი მიზეზის გამო. პირველი, ვინაიდან ადვოკატები არ იყვნენ ვალდებულნი განეცხადებინათ, როდესაც ისინი იცავდნენ მოქალაქეს; და მეორე, ვინაიდან საფრანგეთის სამართალი უფლებას აძლევს იურისტებს, შეტყობინება მიანოდონ მათი ასოციაციის თავმჯდომარეს და არა პირდაპირ სახელმწიფო ორგანოს.¹²²

იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეროვნული კანონმდებლობა ნათელ პასუხს არ იძლევა, შემდეგმა 3 გარემოებამ შეიძლება შეამციროს დაძაბულობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ვალდებულებებსა და კონფიდენციალობის ვალდებულებებს შორის და გამოკვეთოს ამ ორი ვალდებულების საერთო საფუძველი:

119. A Lawyer's Guide to Detecting and Preventing Money Laundering, A collaborative publication of the International Bar Association, the American Bar Association and the Council of Bars and Law Societies of Europe, October 2014, 20

120. იქვე 21

121. Money Laundering and Terrorist Financing Vulnerabilities of Legal Professionals, FATF Report, June 2013, 21

122. იქვე 22

1. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ვალდებულებები ძირითადად წარმოიშობა დანაშაულებრივი მოქმედებების დროს;
2. 40 რეკომენდაციის მიზანია, იურისტებს თავიდან აარიდოს კლიენტებისათვის ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებაში დახმარება, რაც თავის მხრივ, შესაბამება ეთიკურ ვალდებულებებს;
3. კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ეთიკური ვალდებულება, როგორც პროფესიული ქცევის გადამეტებული იმპერატიული გზამკვლევი, არ არის ცალსახად აბსოლუტური.¹²³

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის იურისტთა ქცევის პრინციპები ნათელს ხდის, რომ კლიენტის ინტერესების, როგორც უმაღლესი ღირებულებისადმი მოპყრობა გამომდინარეობს სასამართლოსადმი და სამართალწარმოების ინტერესებისადმი მოქმედების ვალდებულებიდან. იგივე მოსაზრებაა ამერიკის მოდალური პროფესიული ქცევის წესშიც. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მუდმივმა კომიტეტმა 2013 წლის მაისში მიიღო რეკომენდაცია №463, რომელიც ეხებოდა ამერიკის იურისტთა ასოციაციის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს და ასევე კონფიდენციალობის ვალდებულებასა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ვალდებულებების შესაბამისობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო სავალდებულო ხასიათის არაა, მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იურიდიული პროფესიის წევრები ამავე დროს მართლმსაჯულების დამცველები არიან და საზოგადოება მათგან კანონის დაცვას მოითხოვს. ნებისმიერი მოვალეობა, რომელიც იურისტს იმის გამო აქვს, რომ ის იურისტია, უნდა განიმარტოს იმ როლის მიხედვით, რის შესრულებასაც საზოგადოება მათგან მოელის — ასეთი მოლოდინი არ მოიცავს ისეთი ბარიერების შექმნას, რასაც შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენონ იმ ადამიანებმა, ვინც ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას მათი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლისთვის იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გლობალური შეთანხმება იმაზე, რომ იურისტებს აქვთ მრავალრიცხოვანი ვალდებულებები, თითოეულ ქვეყანაში ეს კონკურენტული ინტერესები სხვადასხვა ფორმით არის მონესრიგებული. ყველა თანხმდება, რომ ადვოკატი არ უნდა დაეთანხმოს კლიენტს დანაშაულებრივი მოქმედებების დროს, მაგრამ თუ როგორ არის მონესრიგებული ეს ვალდებულება თითოეული ქვეყნის მიხედვით განსხვავდება. შედეგი ხშირად პოლიტიკის დეტალური განხილვის შედეგია, დაინტერესებული მხარეებისა და მართლმსაჯულების ისტორიის გავლენით მიღებული. შეიძლება შეთანხმდნენ ყოვლისმომცველ პრინციპზე, რომ იურისტები არ უნდა დაეხმარონ დამნაშავეებს უკანონო მოქმედებებში, როგორც ამას FATF ითხოვს, მაგრამ ეს პრინციპი თითოეული ქვეყნის მართლმსაჯულების შესაბამისად უნდა დაინერგოს. ამოსავალი წერტილია, რომ იურისტები არ უნდა დაეხმარონ დამნაშავეებს დანაშაულის გზით შემოსავლის მიღებაში და დაიცვან კანონი.¹²⁴

ადვოკატიებისთვის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედებებისა და ეთიკური ვალდებულებების კონკურენციასთან დაკავშირებით, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებით

123. A Lawyer's Guide to Detecting and Preventing Money Laundering, CCBE, ABA, IBA October 2014, 21

124. იქვე 22

დაცულია ნდობაზე დამყარებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1¹ ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საიდუმლოების დაცვას და ადგენს, რომ ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ადვოკატი ვალდებულია, საექვო გარიგების შესახებ განაცხადის გაკეთება არ აცნობოს კლიენტს, რაც გამორიცხავს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისათვის კლიენტის თანხმობის არსებობას და ასევე იმას, რომ ადვოკატის მოქმედება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ გამოიხატება მხოლოდ ერთ მოქმედებაში, საექვო გარიგების შესახებ ასოციაციისთვის ინფორმაციის მიწოდებაში, არამედ ადვოკატი ვალდებულია, ფლობდეს ინფორმაციას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შესახებ. იურიდიულ პროფესიაში, ამ მხრივ არსებული ხარვეზების შესახებ ადვოკატი უნდა ახდენდეს კლიენტის იდენტიფიცირებას, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის კანონით გათვალისწინებულ გარიგებებში მონაწილეობისას აღრიცხავდეს და ინახავდეს დოკუმენტებს, იმ ფორმით, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ მტკიცებულებითი ძალა ჰქონდეთ.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედებების პროფესიული ეთიკის ვალდებულებებთან კონკურენციის განხილვისას, როგორც ვნახეთ, საჯარო ინტერესი ხაზს უსვამს როგორც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ღონისძიებებს, ასევე კლიენტის წინაშე არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას. თუმცა, კლიენტების საექვო გარიგების შესახებ შეტყობინების ვალდებულებით, 40 რეკომენდაცია ქმნის პროფესიის დამოუკიდებლობის დათმობის საფრთხეს. FATF-ის 23-ე რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის თანახმად, *„თითოეული ქვეყნის განსასაზღვრია რა საკითხებია დაცული პროფესიული პრივილეგიითა და პროფესიული საიდუმლოებით.“* შესაბამისად, იურისტებისთვის ამოსავალია ეროვნული კანონების ცოდნა პროფესიული პრივილეგიასა და პროფესიულ საიდუმლოებასთან მიმართებით, იმის გასარკვევად, ირღვევა თუ არა კონფიდენციალობა, როდესაც ადვოკატი საექვო გარიგების შესახებ განაცხადს აკეთებს. ეროვნული კანონები განსაზღვრავენ კონკრეტულ იურისდიქციაში რა შემთხვევებს ფარავს პროფესიული საიდუმლოება.

FATF-ის რეკომენდაციები აღიარებს კლიენტის უფლებას წარმოადგინონ მისი ინტერესები და მიიღოს სამართლებრივი რჩევა, იყოს გულწრფელი თავის სამართლებრივ მრჩეველთან და არ ეშინოდეს ამ დისკუსიების შემდგომი გამჟღავნების ზიანის მიუყენებლად, რაც ითვლება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მიჩნეულ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე ფუნდამენტური უფლების ასპექტად. FATF-ის რეკომენდაციები ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, შესაბამის ორგანოებს შეატყობინოს საექვო გარიგების შესახებ ს იმ ინფორმაციის გამორიცხვით, რასაც მოიცავს პროფესიული პრივილეგია ან პროფესიული საიდუმლოება.

არსებობს საყოველთაო კონსენსუსი, რომ ადვოკატები არ უნდა დაეხმარონ დამნაშავეებს დანაშაულის გზით შემოსავლის მიღებაში და დაიცვან კანონი. ამავდროულად, ადვოკატებისათვის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებებს თითოეული ქვეყანა განსხვავებულად ანესრიგებს, რაზეც გავლენას ახდენს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემა და ამ მიმართულებით პოლიტიკის დეტალური განხილვა, რაშიც დაინტერესებული მხარეები აქტიურად უნდა ჩაერთონ.

კლიენტის ანგარიშების გამოყენება ფასდება როგორც პოტენციური საფრთხე, რამაც, შესაძლოა, დამნაშავეებს საშუალება მისცეს, განათავსონ თანხა ფინანსურ სისტემაში ან/და გამოიყენონ თანხა მათი მოქმედების ნაწილად, მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტების მიერ რამდენიმე შეკითხვის დასმის შემდეგ იურისტის ჩართულობის მიმართ არსებული ნდობისა და კანონიერების გამო.¹²⁵

სახელმწიფოთა უმეტესობაში, იურისტები, უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ კლიენტის ფონდებს და მათი ვალდებულებაა ეს ფონდები განათავსონ ცალკე ანგარიშზე, რომელიმე აღიარებულ ფინანსურ დაწესებულებაში და გამოიყენონ ეს თანხები მხოლოდ მათი კლიენტების მითითებების შესაბამისად და შეთანხმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით.¹²⁶

ბევრ ქვეყანაში, ასევე მოითხოვება იმ მარეგულირებელი ორგანოსათვის წლიური მოხსენების წარდგენა, რომელსაც შეუძლია ანგარიშების შემოწმება. რამოდენიმე ქვეყანაში, წესები კრძალავს გარკვეული ოდენობის თანხაზე უფრო მეტის მიღებას, თუმცა ეს ოდენობები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. აღნიშნული ვალდებულებები ხშირად განსაზღვრულია კანონით ან პროფესიული წესებით და სრულდება დისციპლინური სახდელების ზემოქმედებით.¹²⁷

საფრანგეთში არსებობს კლიენტის ანგარიშების სისტემა, რომელიც რეგულირდება 1985 წლის 25 ივლისის აქტით და მოითხოვს, რომ ყველა შემოსული თანხა აისახოს სპეციალურ ანგარიშზე. თითოეულ ასოციაციას აქვს თავისი კლიენტის ანგარიშების სისტემა, ასოციაციის თითოეული წევრისთვის ერთი ანგარიში და თითოეული საქმისთვის ქვე-ანგარიში.

ყოველ ჯერზე თანხის გატანა ნებადართული უნდა იყოს კლიენტის ანგარიშების სისტემის მიერ. ამასთან, თანხის მიღება ვერ მოხდება კლიენტის წერილობითი ნებართვის გარეშე. ერთი ქვე-ანგარიშიდან თანხის მეორე ქვე-ანგარიშზე გადატანა ვერ მოხდება კლიენტის ანგარიშების მაკონტროლებელი ორგანოს პრეზიდენტის თანხმობის გარეშე.

კლიენტის ანგარიშების სისტემა კონტროლდება შიდა კომიტეტის, ბანკირებისა და ბუღალტრების მიერ, კერძოდ ისინი ამოწმებენ იურისტის ნაწარმოები საქმის ბუნებას, ფულის წარმოშობის წყაროს და გადახდის ბენეფიციარის ვინაობას.¹²⁸

125. Money Laundering and Terrorist Financing Vulnerabilities of Legal Professionals, FATF Report, June 2013, p. 19

126. იქვე 18

127. იქვე 19

128. იქვე

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (2006) მე—8 მუხლის მე—13 ნაწილის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტის მიერ მინდობილი თანხები ცალკე აღრიცხოს: „ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიაწოდებს ადვოკატს, ადვოკატის ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად უნდა ინახებოდეს და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია, კლიენტს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ანგარიშგება“. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული კოდექსის მე—8 მუხლის მე—13 ნაწილით გათვალისწინებული ეს ვალდებულება შეესაბამება ადვოკატთა საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.8 მუხლის „კლიენტის ფონდები“ 3.8.1 პუნქტის თანახმად: „თუ ადვოკატი მისი პრაქტიკის განმავლობაში ნებისმიერ დროს მისი კლიენტის ან მესამე მხარის სახელით თანხებს მფლობელობაში მიიღებს, (შემდგომში „კლიენტის ფონდები“), სავალდებულოა, რომ აღნიშნული თანხები ყოველთვის საბანკო ანგარიშზე ან მსგავს დანესებულებაში ინახებოდეს საჯარო დანესებულების ზედამხედველობის ქვეშ (შემდგომში „კლიენტის ანგარიში“). კლიენტის ანგარიში უნდა იყოს განცალკევებული ადვოკატის სხვა ანგარიშებისგან. ადვოკატის მიერ მიღებული ყველა ასეთი თანხა ამგვარ ანგარიშზე უნდა იქნას გადახდილი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი დათანხმდება, რომ თანხების განკარგვა სხვაგვარად მოხდეს.“

ეთიკის კომისიამ ორ შემთხვევაში დაადგინა მე-8 მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა. ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მინდობასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №004/12 დაადგინა, რომ „კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერად მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმერება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა უფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიონალიზმის კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდუციარული ვალდებულებების დარღვევას.“

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №003/12 დაადგინა, რომ „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ

ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“¹²⁹

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 07 აპრილის ბრძანებით №24/04 „საბანკო დაწესებულებაში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ გათვალისწინებულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნა, რომელიც ამავე ბრძანების მე-2 მუხლის „ტ“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარმოადგენს „ფასიანი ქაღალდების შუამავალი პირის ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშს.“

ამჟამად, საქართველოს საბანკო კანონმდებლობა და საბანკო მომსახურება ვერ უზრუნველყოფს ადვოკატთა ანგარიშების გახსნას და მართვას ადვოკატების პროფესიული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, რადგან არ არის განსაზღვრული ნომინალური ანგარიშების გახსნა ადვოკატებისთვის, როგორც ეს მცირე დროის წინ ნოტარიუსებისთვის დაიშვა. შედეგად, რთულდება ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დააკისრება მის მიერ კლიენტის თანხების ცალკე ანგარიშზე შენახვის ვალდებულების დარღვევისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, ზიანი ადგება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესს, ვინაიდან კლიენტის თანხები, გამოსაყენებელი ტრანზაქციებისთვის ადვოკატთან არ არის დაცული. მართალია, შესაძლებელია, ბანკთან ხელშეკრულების გაფორმება და ე.წ. „ესქროუ“ ანგარიშის გამოყენება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საზღაური ესქროუ ანგარიშით მომსახურებაზე საკმაოდ მაღალია და იგი ძირითადად დიდ თანხებზე გამოიყენება, ხოლო საშუალო და მცირე ტრანზაქციებზე უზრუნველყოფა კვლავ პრობლემურია.

ადვოკატებისთვის ნომინალური მფლობელობის ანგარიშით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა, ხელს შეუწყობს ტრანზაქციების უსაფრთხოებას, სიმარტივეს და დაცული იქნება კლიენტის თანხები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად. ასევე, მიღწევადი იქნება ლეგიტიმური მიზანიც, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით, ბანკმა ყოველთვის უნდა იცოდეს თუ ვინ არის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე რიცხული თანხის ბენეფიციარი.

129. ეთიკის კომისიის 2012 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე 003/12, იხილეთ: <http://gba.ge/uploads/resolutions/2014/09/04/40df57d72781a84a7f0dda89763edac7.PDF>

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის ბრძოლასთან ფულის გათეთრების კანონმდებლობით დადგენილი გარიგებებზე მონიტორინგის განხორციელება თავად ადვოკატებს ევალებათ,¹³⁰ ზედამხედველობა კი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას აქვს დაკისრებული.¹³¹

ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, პროფესიის ზედამხედველობის და დარეგულირების პროცესში ადვოკატები მომზადებული იყვნენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულების თავიდან ასაცილებლად. ადვოკატებმა, ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად უნდა განსაზღვრონ გზები, რათა იურიდიულმა კომპანიებმა და ადვოკატებმა თავიდან აირიდონ და არ გამოიყენონ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საშუალებები დამნაშავეთა დასახმარებლად ან თავიდან აირიდონ ისეთ კლიენტებთან ურთიერთობა, ვინც ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებით საქმიანობს. ადვოკატთა ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადვოკატებმა იცოდნენ და გაიგონ რა ვალდებულებები აქვთ ფულის გათეთრების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი.¹³²

ადვოკატთა ასოციაციის დახმარებით და აქტიური ჩართულობით ადვოკატებს, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ევალებათ:

- ინფორმირებულნი იყვნენ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში ფორმალური მოთხოვნების თაობაზე
- იცოდნენ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობა
- დაატრენინგონ თანამშრომლები იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული იურიდიული კომპანიების და ადვოკატების მიერ ფულის გათეთრების გარიგებებში ჩართვის საფრთხე. დაატრენინგონ თანამშრომლები იმგვარად, რომ შეეძლოთ კლიენტის იდენტიფიცირების ნებსების სრულყოფილად შესრულება
- აღმოაჩინონ კლიენტის, პოტენციური კლიენტის ან სხვა დაკავშირებული პირის მიერ ფულის გათეთრების მცდელობა, არ წახალისონ ისინი ასეთი ქმედების ჩადენაში და აღმოჩე-

130. მუხლი 2, ნ პუნქტი, მე-3 მუხლი, ნ პუნქტი

131. მე-4 მუხლის ე პუნქტი

132. A Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, CCBE, ABA, IBA, 8

ნის შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის დაწესებულებას ან სულ მცირე უარი უთხრან კლიენტს ქმედების განხორციელებაზე¹³³

საქართველოს კანონის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-8 მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან, განახორციელონ შიდა კონტროლი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ადვოკატებმა, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა, უნდა მიიღონ შიდა ინსტრუქციები, რომელთა მიხედვითაც უნდა შეასრულონ კლიენტის იდენტიფიცირების წესები, მიიღონ საეჭვო გარიგებების გამოვლენის პროცედურები, დანიშნონ პასუხისმგებელი თანამშრომელი, შეიმუშაონ დამატებითი რეგულაციები კანონის სათანადო შესრულებისთვის. მართალია, საქართველოს კანონში პირდაპირ მითითებული არ არის, თუმცა FATF-ის რეკომენდაციის მიხედვით, მონიტორინგის ფუნქციის შესრულებაში, ადვოკატს უნდა დაეხმაროს ადვოკატთა ასოციაცია. როგორც აღვნიშნეთ, ასოციაციამ უნდა შეიმუშავოს შიდა ინსტრუქციები და წესები და დაწეროს შესაბამისი პოლიტიკა ამ მიმართულებით.

ფულის გათეთრების ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებას ითვალისწინებს 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენცია, აღნიშნული კონვენციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, კონვენცია იზიარებს FATF-ის რეკომენდაციას, მოცემული მუხლის დებულებების განმარტებისას¹³⁴ და ეყრდნობა მას.

FATF-ის 28-ე რეკომენდაცია ადგენს, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მიერ ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ვალდებულების შესრულება უნდა შეამოწმოს ან ზედამხედველობის ორგანომ ან ადვოკატთა ასოციაციამ.¹³⁵ საქართველოს კანონის მიხედვით კი, ფულის გათეთრების ვალდებულებაზე ზედამხედველობა ეკისრება ადვოკატთა ასოციაციას, შესაბამისად, რეკომენდაციის მიხედვით ადვოკატთა ასოციაცია არის მაკონტროლებელი ორგანო, გადაამოწმოს რამდენად შეასრულა ფულის გათეთრების კანონით დადგენილი ვალდებულებები და მონიტორინგის ფუნქცია სათანადოდ განახორციელა თუ არა ადვოკატმა. მაგალითად, ნორვეგიის კანონმდებლობით, ფულის გათეთრების ვალდებულებების შეუსრულებლობა ადვოკატთა ასოციაციას აძლევს უფლებამოსილებას, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისროს ან გარიცხოს ადვოკატთა ასოციაციიდან.¹³⁶ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით ადვოკატი არ ექვემდებარება დისციპლინირებას ფულის გათეთრების ვალდებულებების შესრულებლობისთვის, თუმცა ზედამხედველობის ფუნქცია გააჩნია. რეკომენდაცია მონიტორინგის ფუნქციის შესრულებისას, ზედამხედველობის ორგანოს (ადვოკატთა ასოციაციას ჩვენს შემთხვევაში) განუსაზღვრავს, რომ მხედველობაში მიიღოს რისკ ფაქტორები, რაც ამ დანაშაულს შეიძლება თან ახლდეს და გააჩნდეს სათანადო რესურსები, რაც მისი თანამშრომლების შესაბამის მომზადებას და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას მოიცავს, რომ ფულის გათეთრების პრევენციული ზომების ეფექტურად გატარება შეძლოს.¹³⁷

133. A Lawyer’s Guide to Detecting and Preventing Money Laundering, CCBE, ABA, IBA, 9

134. Explanatory report, 117-121 para, ინფორმაცია იხილეთ: <http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/198.htm>

135. FATF Recommendations 2012

136. ინფორმაცია იხილეთ: <http://www.anti-moneylaundering.org/europe/Norway.aspx>

137. FATF Recommendations 2012, 28 b

FATF-ის რეკომენდაციაში, ყურადღება გამახვილებულია ადვოკატთა ასოციაციის როლზე, რომელსაც აქვს ადვოკატთა შესახებ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, დაარეგულიროს პროფესია, მოაწესრიგოს პროფესიაში განვერიანების პირობები, დაადგინოს ეთიკური სტანდარტები და ადვოკატების იურიდიული განათლების საკითხები. რეკომენდაციის მიხედვით, ადვოკატთა ასოციაციის ფუნქციას წარმოადგენს მონიტორინგი გაუწიოს ადვოკატის მიერ პროფესიული და ფულის გათეთრების კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, რასაც ბუნებრივია, ადვოკატი თავად ვერ განახორციელებს.¹³⁸ ადვოკატთა ასოციაციას, აქვს თავისუფლება როგორც პროფესიის მარეგულირებელმა თავად განსაზღვროს ის რისკ-ფაქტორები, რაც, საჭიროა, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და პრევენციული ზომების მისაღებად, დაარეგულიროს პროფესია იმგვარად, რომ ადვოკატებმა შეიმუშავეთ რისკის მართვის სხვადასხვა საშუალებები, რომელიც მორგებული იქნება როგორც მაღალ, ასევე დაბალ რისკ-ფაქტორებზე.¹³⁹

თუმცა, რეკომენდაციის მიხედვით, ადვოკატთა ასოციაცია მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო დანესებულებებთან ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად,¹⁴⁰ რასაც საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს. კანონმდებლობის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიერ დადგენილი წესები შეუსაბამოა საქართველოს კანონმდებლობასთან, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს ამის თაობაზე მიუთითოს ადვოკატს.¹⁴¹

თავად ფინანსური მონიტორინგის სამსახური არის სახელმწიფო დანესებულება, რომელიც ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენციის¹⁴² და საქართველოს კანონის მიხედვით¹⁴³ აკვირდება საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების კანონის შესრულებას. საქართველოს კანონის მიხედვით, ფინანსური მონიტორინგის სამსახური წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ხელმძღვანელსაც ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.¹⁴⁴ ფინანსური მონიტორინგის სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და, უფლებამოსილია, დანაშაულის გამოვლენის მიზნით მონიტორინგის განმახორციელებელი პირისგან მიიღოს ინფორმაცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.

საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1¹ პუნქტის მიხედვით ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან ურთიერთობა აქვს ადვოკატთა ასოციაციას და ადვოკატთა ასოციაცია უგზავნის ინფორმაციას მონიტორინგის სამსახურს, თუ ადვოკატი ვერ ახდენს პირის იდენტიფიცირებას, ან საეჭვო გარიგებების არსებობისას. იგივე მითითება არის მოცემული FATF-ის 29-ე რეკომენდაციაში, სადაც მოცემულია, რომ ადვოკატი საეჭვო გარიგებების ან დანაშაულის შესახებ ინფორმაციას აწვდის ადვოკატთა ასოციაციას. 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენციით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციაც საეჭვო გარიგებების გამოვლენაა.

138. FATF, RBA GUIDANCE FOR LEGAL PROFESSIONALS, 23 October 2008 , para 60

139. იქვე, para 68

140. იქვე

141. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის მუხლი 8

142. ევროპის საბჭოს კონვენცია “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ” ვარშავა 16 მაისი 2005, მუხლი 1, ვ პუნქტი

143. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, მუხლი 10

144. იქვე